

ბრძოლის გზა

სოციალ-დემოკრატიული ოკუპაციის საბ. ს.ო.ც.-დ.მ. მ.შ. პარტი. ცენტრალური კომიტეტისა.

« L'ECHO DE LA LUTTE » — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvrier de Géorgie.

რედაქტორი გ. გვარჯალაძე.

Directeur C. Gvardjaladze.

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

საქართველოს ნაც. მთავრობის სახელით მაქვს პატივი განაცხადო შემდეგი:

დღევანდელ საერთაშორისო სამხედრო კონფლიქტში ჩვენ თავიდანვე მოვადინეთ ჩვენი არჩევანი, მივემხრეთ საფრანგეთის კოალიციას.

ეს ჩვენი გადაწყვეტილება აგებულია ორ საფუძველზე: პოლიტიკურზე და ნაციონალურზე.

ჩვენ ვართ ჩაგრული ერის შვილი; ჩაგრულია ჩვენი ერი ორ ნაირად: როგორც ერი და როგორც ხალხი, უცხო ძალამ მას წაართვა თავისუფლება ნაციონალური და პოლიტიკური. ვის შეუძლია გაიგოს ეს ჩვენი ორგვარი ტანჯვა თუ არა იმან, ვისაც სწამს ეს ორგვარი თავისუფლება, ვისაც ერის და ადამიანის უფლება თავის დროზე დაუწერია და ის საყოველთაო, საკაცობრიო კუთვნილებათ უღიარებია. ჩაგრულთა ეს ბუნებრივი დამცველი იყო და არის საფრანგეთი. მან თავის არსებაში შეაერთა ფრანგული და კაცობრიული, ნაციონალური და ადამიანური.

ჩვენ არ გვწამს, არასოდეს გვიწამებია რომ ვინც თავის ხალხში ამყარებს დესპოტიას, ის სხვა ხალხში დაამყარებს თავისუფლებას, ვინც იპყრობს თავისუფალ ერთ, ის გაანთავისუფლებს ჩაგრულ ერთ. საერთაშორისო მტაცებლობა ძირს უთხრის ყოველი ფორმის უფლებას. დღეს მსოფლიოში ფრიალებს ორი მოპირდაპირე დროშა—თავისუფლების და მონობის; საქართველოს დროშის ადგილია მხოლოდ თავისუფლების ბანაკი.

ასეთია ჩვენი ორიენტაციის პოლიტიკური მოტივი. ამ ხაზისა აგრეთვე ჩვენი ნაციონალური მოსახრება.

ქართველ ერს ფლობს და სტანჯავს საბჭოთა რუსეთი. საქართველო არ შეურიგდა ამ მდგომარეობას და ებრძვის შეუჩერებელი მის დამპყრობელ მოსკოვს. ამით ის ებრძვის ყველა მის მოკავშირეთ და დამხმარეთ, ვინც უნდა იყოს იგი. ჩვენ არასოდეს

გყოფილვართ, არც ვართ, არც ვიქნებით სტალინის და მის დამცველთა მხარეზე, არც იდეურად, არც პოლიტიკურად, არც ნაციონალურად. ჩვენ შორის დიდი ხანია ხიდია ჩატეხილი, ბრძოლაა გამოცხადებული. ამ ქმათ ჩვენს პოზიციას დადგენ მოკავშირენი; ჩვენ მიერ ბოლშევიზმის გამოცხადება მტრათ არა მარტო საქართველოსი, არამედ მთელი კულტურული კაცობრიობისა, როგორც ძველი რუსული-აზიური ბარბაროსობის აღდგენა—დღეს საქვეყნოთ დამტკიცდა და ეს გაიზიარა მოწინავე საზოგადოებამ. ჩვენ მიერ წარდგენილი პროტესტი 1935 წელს ერთა ლიგისათვის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დაშვებისა მის წევრთა შორის—დღეს საქვეყნოდ დაადასტურა იმავე ლიგამ მოსკოვის იქიდან განდევნით.

როგორც ხედავთ ჩვენ ადგილი არ გამოგვიცვლია, ერთხელ აღებულ ხაზზე ოდნავდაც არ წავიფოვრხილვებია; ვართ იქ, სადაც ვიყავით თავიდანვე. ეს ჩვენი პოზიცია—პოზიცია მთელი ქართველი ერის გაამართლა ისტორიამ, მისკენ იბრუნა პირი მსოფლიო დემოკრატია; და თუ დღევანდლამდე ესულდგმულდებით იმედით, დღეს ამ იმედს მიეცა რეალური საფუძველი.

საქართველოს ნაც. მთავრობა გამოსული სამშობლოდან დამფუძ. კრების დადგენილებით და საგანგებო მანდატით ვანაგრძობს ბრძოლას მოსკოვის მტაცებლობისთან განარჯევამდე. მოუწოდებს ყველა ქართველ ემიგრანტს ჩვენთან ერთად ჩადგეს მოკავშირეთა ბანაკში, ვუსურვოთ ამ ბანაკს გამარჯვება და საერთო ძალ-ღონით ვიმუშაოთ ქართველი ერის თავისუფლების აღსადგენად *).

*) ეს დეკლარაცია წაკითხულ იქნა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას მიერ დამფ. კრების წევრების კერძო თათბირზე 4 თებერვალს პარიზში.



ს ა შ ი ნ ა მ დ ა ს ა მ ა რ ი მ ფ რ ი ნ ო ზ ე

ჩვენ პრესაში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ის ცრუ და გადამტეხული ცნობები, რომელსაც ბოლშევიკები და მათი ევროპელი აგენტები აწვდიდნენ უზუსტოს საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობის და ცხოვრების შესახებ.

ბოლშევიკების მტკიცებით რუსეთის მრეწველობამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია; რუსეთის ქარხნებში მუშაობენ მცოდნე, გამოცდილი სპეციალისტები, რომლებიც ევროპის სპეციალისტებს არაფერში ჩამორჩებიან; ყველაფერი, რაც ამ ქარხნებში კეთდება, პირველი და საუკეთესო ხარისხის არის; რუსეთის ტექნიკა უკვე დაწვინა ამერიკისა და ეხლა მან მას ბევრად წინ უნდა წასწროს; წერა-კითხვის უცოდინარობა საბჭოთა კავშირში, ვითომც, ხომ დიდი ხანია მასშობილია. კრემლის პროპაგანდისტების დასურათებით საბჭოთა კავშირის მსახლეობის ცხოვრება მეტად მდიდარი, საამური და ბედნიერია.

კრემლის ეს დაჭირებული აგენტები განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა რუსეთის სამხედრო ძლიერების აპოლოჯას. მათი გადმოცემით წითელი ჯარი მსოფლიოში უდიდესია შეიარაღებით, ცოდნით და განათლებით, აღუტრევილია იდეალშით, გამსუვალულია დისციპლინით და ბოლშევიკურ რეჟიმისათვის სიყვარულით. მათი ავიაცია, ვითომც, საურთესოა, თვით ავიატორები და პარაშუტისტები კი შეუდარებელი.

ევროპელებს მართლაც სჯეროდათ წითელი ჯარის სიძლიერე, ამიტომ საბჭოთა რუსეთს ანგარიშს უწევდნენ, ერიდებოდნენ. სხვადასხვა სახელმწიფონი ცდილობდნენ მოსკოვთან კარგი დამოკიდებულების დაპყრას და მასთან კავშირით თავის ზურგის გამაგრებას.

ფინლიანდის ამებმა საბჭოთა რუსეთს უცებ ფარდა გადასდია და მისი საშინაო ფრონტის დაავადებული სახე მთელი მსოფლიოს ნათლად დაანახვა.

ფინლიანდის პატარა და გმირული ჯარი წარმატებით იცავს თავს, ებრძვის დავდამსხმელ მრავალრიცხოვან მტერს და დიდ გამარჯვებებს იპოვებს მასზე. საქმე არა მხოლოდ იმაშია, რომ ფინლიანდილებს მათ ბრძოლაში ხელს უწყობს მათი ქვეყნის ბუნებრივი პირობები და გეოგრაფიული მდებარეობა. უზარმაზარ რუსეთის მარცხი პატარა ფინლიანდიანთა ბრძოლაში უფრო აიხსნება იმით, რომ მიუხედავად წითელი ჯარის ბლომად შეიარაღებისა, რუსეთის ინდუსტრიულიზაცია-რაკონალიზაცია ისე წინ წასულა, რუსეთის ტექნიკა ისე დასწევია ამერიკისას, რუსეთის ქარხნებში კეთდება ისეთი კარგი ხარისხის იარაღი, რომ ევროპის სამხედრო სპეციალისტების მტკიცებით 30 პროც. რუსი თოფებისა, ტყვიამჭკვევებისა და ტანკებისა უფარისგია და ამოღენივ პროცენტს კუთხბარებისა არ სცდება და გამოუსადევარია. ვერც რუს ავიატორებმა გამოიჩინეს რაიმე თვალსაჩინო მოქმედება, გარდა იმისა, რომ მხეტარად ხოცავენ მშვიდობიან

მცხოვრებლებს. რუს პარაშუტისტებს კი, რომელთა შესახებ ევროპელები გამოაყრუეს, ფინლიანი ელები ინდაურებივით იჭერენ.

რუსეთ-ფინლიანდის ომმა დამატკიცა, რომ სტალინს ამ წლებში განმავლობაში კარგად უმუშავინა და ოფიცრების დახვეწილ ჯარის ხელმძღვანელი კადრები საკმაოდ გაუნადგურებია. თვით არსებულ კადრები კი უფიცი და გამოუტყდელია. წერა-კითხვის უცოდინარობა ბოლშევიკებს ისე მოუხსნიათ საბჭოთა რუსეთში, რომ წერა-კითხვის უცოდინარი ბევრია ფინლიანდიაში ტყვეთ ჩაგრდნილ არა თუ უბრალო რუს ჯარისკაცთა შორის, არამედ წერა-კითხვა, უცხოველ კორესპონდენტთა მოწოდებით, სწორად ოფიცრებმაც არ იციან.

ბოლშევიკური რეჟიმი, სადაც ყოველგვარი თავისუფლება და ინდივიდუალური ნებისყოფის გამოხატვა აკრძალულია, რასაკვირველია, ვერ აღზრდიდა შესაფერისი ინიციატივის მქონე ჯარისკაცთ და ასეთი ინიციატივის უქონლობაც დიდად ხელს უწყობს რუსის ჯარის დღევანდელ სასირცხოვო დამარცხებებს.

რუსეთის შორეულ კუთხეებიდან მორეკილ ფინლიანდიაში მებრძოლ რუსის ჯარისკაცთ არ აქვს არავითარი გარკვეული მიზანი და იდეალი, მათ არ იციან, ვის ებრძვიან, სად და რისთვის იბრძვიან. მათი მორალი და სულისკვთება ძალზე დაბალია. რა არის გასაკვირი, თუ რუსი ჯარისკაცები ფინლიანდიელებს მზარეზე გადადიან და შეგნებულად მათ ხელში ტყვეთ უფარდებიან. სტალინი ცილობს ეხლა ეს მოვლენა ოფიცრობას გადააბრალოს, ისინი დასახოს ყველაფრის პასუხისმგებლთ და მით საბჭოთა რუსეთის საშინაო ფრონტის სისუსტე და მისი საქუთარი პოლიტიკის გაკოტრება დაფაროს. ეს ფრიალ უნაყოფო ცდაა. სტალინის მიერ ბრალდებული ოფიცრები იბრძვიან, მაგრამ სწორად ჯარისკაცი ნიკავენ ოფიცრებს, რომენიც მათ უმინწო და უმედეგო ბრძოლისკვენ ძალით ერეკებიან. ფინლიანდიაში ტყვეთ ჩაგრდნილი რუსი ჯარისკაცი ბოლშევიკ კომისარის მიერ დაშინებული და ჩაგონებული, რომ მათ მტრის ბანაკში ხვრეტა და წყალბა მოელის, გაკვირებულნი რჩებიან ფინლიანდიელებს კარგი მოპყრობით და მათი სასმელსაქმელით. როცა ამ ტყვეებს ეკითხებიან რუსეთში უკან დაბრუნების შესახებ, ისინი არა თუ ამის სურვილს არ აცხადებენ, არამედ გულუბრყვილოთ მათი ცოლშვილის აქედ განდმოყვანას თხოულობენ. აქედან ნათლად სჩანს, თუ რა საამური და ბედნიერი ცხოვრება აქვთ საბჭოთა რუსეთის მცხოვრებთ და რკოგრი სიყვარულით არიან ისინი გამსუვალული ბოლშევიკურ რეჟიმისადმი.

საბჭოთა რუსეთის საშინაო ფრონტის ასეთი სისუსტის გამოამჟარავებამ დიდი გავლენა იქონია მისი საგარეო ფრონტის მდგომარეობაზედაც.

სანამ რუსეთი ფინლიანდიაში შეიჭრებოდა და იქ მარცხი მარცხზე მოუვიდოდა, მის სამხედრო



ძლიერებაზე ვერაპაში დიდი წარმოდგენა ჰქონდათ. ყველა ცდილობდა რუსეთის თავის მხარეზე გადმოეზარებინა და ის თავის მტრის წინააღმდეგ დაეპირადაპირებია. ინგლის-საფრანგეთს უნდოდა რუსეთთან კავშირი გერმანიის წინააღმდეგ, მაგრამ პიტ-სთან კავშირი უფრო ადვილად შესძლო სტალინთან დაძმობილება და დასავლეთ დემოკრატიისადმი მისი დაპირდაპირება.

საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერებას წინეთ გერმანიაც გადაჭრებულად აფასებდა და მისი ემინოდა. დღეს კი ყველასათვის ნათელი გახდა, რომ რუსეთის სამხედრო ძლიერება არც ისე დიდი ყოფილა. თუ პატარა ფინლიანდიაში დროზე ვერ მიიღო უცხო სამხელწიფოებიდან შესაფერისი დახმარება, 170 მილიონიანი რუსეთი დაბოლოს, ალბათ, რიცხეთი მოერევა 3 ნახ. მილიონამ პატარა ქვეყანას, მაგრამ ეს სრულებით ვერ გამოავითებს რუსეთის უკვე დიდად დაცემულ პრესტიჟს და ისტორიას ვერ დაავიწყებებს იმ გმირულ და ლეგენდარულ ბრძოლებს, რომელსაც დღეს ფინლიანდია აწარმოებს.

შიში რუსეთის წინაშე თანდათან ჰქვრება და ეს ლა მას სხვა ტონით და ენით ელაპარაკებიან. იტალია იმალლებს ხმას მოსკოვის წინააღმდეგ და ბალკანეთში რუსეთის აგრესიის თავიდან ასაცილებლად დიდი და აშკარა მუშაობა სწარმოებს უნგრეთ-რუმინია-იუგოსლავიაში. ფინლიანდიის ამბების შემდეგ სავარძნობლად გათამამდენ სკანდინავიის ქვეყნები—შვეცია და ნორვეგია და რუსეთის უკანონო მოთხოვნილებებს და უადგილო პროტესტებს დირსებით სავსე პასუხებს აძლევენ. სხვები, ვინც კი წინეთ მოსკოვს ერიდებოდა, დღეს მას ისეთ ანგარიშს აღარ უწევენ. მოტუქებული დარჩა თვით გერმანია. პიტლერის ვგონა სტალინთან კავშირით ინგლის-საფრანგეთს მორალურად და მატერიალურად ადრეულად წყლეს გასტენდა. დღეს კი ცხადია, რომ რუსეთს გერმანიისადმი არა თუ რაიმე დიდი დახმარების გაწევა არ შეუძლია, არამედ ის პატარა ფინლიანდიასაც ვერ უშკლავდება და მას აგერ საშითვეა ეომება.

ფინლიანდიაზე თავდასხმის გამო რუსეთი არა მხოლოდ ერთა ლიგიდან გააძვეცს, არამედ ვერაპის, ამერიკის, განსაკუთრებით კი საფრანგეთის პრესაში გაისმის დღეს ხმები—საბჭოთა რუსეთთან შეწყდეს ყოველივე ოფიციალური კავშირი და მისი ელჩები იქნას განდევნილი.

მოკავშირეთა პოესა ბევრს დაპარაკობს დღეს აგრეთვე კავკასიაზე, მის სიმიდირუხე, მის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე და ურჩევს მართველ წრეებს კავკასიის მხარეს შესაფერისი ყურადღებით და ინტერესით მოეპყრას.

თუ რუსეთის საშინაო ფრონტის სისუსტის გამოაშკარავებამ დიდი გავენა იქონია საბჭოების პრესტიჟის დაცემაზე უცხოეთში, ევეჯი არ არის, მიუხედავად ბოლშევიკური პრესის ბაქიობისა და მათი ყოვლად ცრუ და ფანტასტიური ცნობებისა წითელი ჯარების ფინლიანდიაში გამარჯვებების შესახებ. საბჭოთა კავშირის ერებიც სათანადოთ დაფიქრდებიან იმაზე, თუ რა არის იმის მიზეზები, რომ ამდენხანს გრძელდება რუსეთ-ფინლიანდიის ომი და რატომ პატარა ფინლიანდიას დღემდე ვერ სჯობნის მრავალრიცხოვანი რუსის ჯარი. საბჭოთა კავშირის ერები ადვილად მიხვდებიან, თუ რაშია საქმე, რუსეთის წაბორძიკებით საშინაო და საგარეო ფრონტზე მათაც იმედი მიეცემა და მთელი მათი თანაგრძნობა თავისი ფაქტებისათვის მეტრძოლ ფინლიანდიელების და მათ დახმარების მხარეზე იქნება.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ დღეს სხვის უღლის ქვეშ მყოფმა ჩაგრულმა ერებმა ხელში იარაღი აიღონ და აჯანყებები აწიონ. ავანტიურებს და ფიზიკურ განადგურებას ქართული ხალხი დიდად ერიდებოდა წარსულ დიდ ომში და ამ მაგალითის დაიწვევა მას ძალზე ავენებს. მაგრამ, მეორე მხრივ, საჭირო და აუცილებელი სიფრთხილ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენმა ერმა ხელსაყრელი პირობები ხელიდან გაუშვას, ის შესაფერისად არ შეაფასოს, მით არ ისარგებლოს და მტრის უღლის გადაგდებას სხვა ჩაგრულ ერებთან ერთად არ შეეცადოს.

გ. ვვარჯალაძე.

ო მ ი ლ ა მ ო მ ა ვ ლ ი ს პ ო ლ ი თ ი ვ ი ბ ი

ვერავინ იტყვის ახლა დანამდვილებით, თუ რა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები დაუდგება გადასჭრულთა კაცობრიობას ახლანდელ ომის დასასრულს, რანაირი ახალი საზოგადოებრივი მოძრაობანი იჩენენ თავს და რანაირი ახალი თეორიები შემუშავდება.

ინგლისში და საფრანგეთში, ისე როგორც ნეიტრალურ ქვეყნებში,—ნეიტრალურ ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი თითქმის უკლებლივ დარწმუნებულია ინგლის-საფრანგეთის კოალიციის გამარჯვებაში,—იმას ფიქრობენ, რომ ახლანდელმა ომმა უპირველეს ყოვლისა ბოლო უნდა მოუღლოს იმ მოვლენებს თვით ამ ომის მიმრქმლებთან რომ გამოვიდნენ, ძალმომრეობის მქდავებლებს: ბოლშევიზმს

და ნაციონალ-სოციალიზმს. ამ ორში ზოგი პირველს ასახლებს მეთაურთ. ზოგი—მეორეს, ხოლო საზოგადოთ ორივე ესენი—რუსეთი ბოლშევიზმიც და გერმანული ნაციონალ-სოციალიზმიც—განწირულთა მიაჩნიათ.

რა გზით წავა შემდეგ, ამ უკუღმართ მოვლენებიდან გაწმენდილი საზოგადოებრივი ცხოვრება? აი, ამის გამო ჯერ-ჯერობით მხოლოდ ზოგადი აზრების და სურვილების გამოთქმა თუ შეიძლება; და ეს სურვილები იმდენათ უფრო იქნებიან რეალურ საფუძველზე დამყარებული, ფრო იქნებიან ისინი ლოლიკურათ გამომდინარეობენ ახლა არსებულ, ვარყოფითათ და ომის გამომწვევ მიზეზებათ ცნობილ, მოვლენათა მოსალოდინად. ხოლო უმთავრესი მომავ



ვალ ცხოვრების პირობების გასათვალისწინებლათ მაინც ის არის, თუ როგორ და როდის, მალე თუ გვიან, დამთავრდება ომი და რამდენათ ნაკლებათ თუ მძიმეთ შერყეული გამოვა საზოგადოებრივი ცხოვრება, მთლიანათ აღებული, ამ ომიდან.

მაინც რანაირ ზავის და განახლებულ ცხოვრებისთვის საჭირო რანაირ პირობების შესახებ ფიქრობენ და ლაპარაკობენ ამ თავითვე?

სახელმწიფოს სათავეში მდგომარე პასუხისმგებელი პირები ერთდებიან ჯერ-ჯერობით კონკრეტულათ და დეტალურათ ლაპარაკს ამ პირობების შესახებ, პრესა და საზოგადოება კი უფრო ვრცელად და თავისუფლად მსჯელობს ამ საგანზე. თუმცა ახლა გამოთქმული აზრები და ახლა დასახული პლანები აღბათ ცვლილებას განიცდიან ომის გასწვრივ ხანაში. მაგრამ მაინც აქედანვე და თანდათანობით მუშაუდებდა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც საბოლოათ არ დარჩება უგავლენოთ იმაზე, ვისაც სახელმწიფო მართელობის საუბრეებზე ხელში ზავის ჩამოგდების დროს და იმის მიმყოლ ხანაში.

როგორც ომის მსვლელობა და იმის შედეგები საინტერესოა ჩვენთვის, ისევე საინტერესოა უნდა იყოს ჩვენთვის საზოგადოებრივი აზრის განვითარება ამ ომთან დაკავშირებით; იმიტომ რომ აქ, საზოგადოებრივი აზრის ამ მსვლელობაში, გამოჩნდება, თუ რას უნდა მოელოდნენ კაცობრიობა მომავალში, რას უნდა მოელოდნენ დიდი და პატარა ერები, სხვა და სხვა წრეები და ცალკე პიროვნებანიც ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, რანაირი ახალი საფუძველი ჩაყრება ადამიანის უფლებრივ და სოციალურ მდგომარეობას მომავალში.

ინგლისის პირველ-მინისტრმა ნ. ჩემბერლენმა ოპოზიციის ლიდერის ატლიის საპასუხოთ განაცხადა თემთა პალატაში (28 ნოემბერს): «ომის მიზნებს მართა ჩვენ ვერ ჩამოვყალიბებთ. ამის გამო თათბირები გაიმართება. რომელიც მონაწილეობას მიიღებენ დომინიონები, ჩვენი მოკავშირეები და შეიძლება აგრედვე დამარცხებულნიც, იმის წინ ვინემ დადგენილი იქნებოდეს, თუ როგორ დამყარდეს ქვეყნათ ცხოვრების ახალი პირობები».

ამ სიტყვებში უკვე სჩანს ფიქრი საზავო პირობების ახალი წესით შემუშავების: წინათ დამარცხებულებს კი არ ეთათბირებოდნენ, არამედ უბრძანებდნენ ხელი მოეწერათ პირობაზე, რომელსაც გამარჯვებულნი უკარნახებდნენ ხოლმე; და თუ ახლა დიქრობენ, რომ შეიძლება დამარცხებულსაც «ეთათბირონ», ეს იმის ნიშნია, რომ მოწინააღმდეგის ფრონტზე დამარცხებით არ ფიქრობენ სადავო კითხვების საბოლოათ მოწესრიგებას. ომში დამარცხებულნი სურთ ხელიდან იარაღ გააგდებინონ მათ, ვინც იარაღის და უხეშ ძალის საშველებით ფიქრობდნენ სხვების დამორჩილებას, და მით შესაძლებელი გახდნო, რათა საერთაშორისო ურთიერთობა აღდგებოდნენ და დამყარებული იქმნას უფლებები, მოლაპარაკებების და შეთანხმებების ნიადაგზე, ეს სჩანს

უფრო ნათლად ინგლისისავე საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდის პალიფავის სიტყვებიდან მის 7 ნოემბრის დეკლარაციაში: «ჩვენ ძალიან ცოტა იმედი უნდა გვექნეს მომავლის, თუ ახალი ზავის დამყარება არ მოხერხდა მოლაპარაკებებთა და შეთანხმებებითა—განაცხადა მან. ასეთივე აზრები ვხვდებით საფრანგეთის სახელმწიფო კაცების განცხადებებში, რადგან საფრანგეთისა და ინგლისის შორის ყველა საკითხებში სრული თანხმობა არსებობს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ არ კმარა მტრის ბრძოლის ველზე დამარცხება და ფიქრობენ ისეთ პირობების შექმნაზე მომავალში, რომ მოხერხდეს ყველა ერების საერთო ასპარეზზე თანამშრომლობა».

ეს აზრი უფრო განვითარა, და ზოგიერთ კონკრეტულ ზომებში დაასახლა ატლიიმ, ლიდერმა მუშათა პარტიის და საპარლამენტო ოპოზიციის, რომელიც საესებით მხარს უჭერს ახლანდელ ომში ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას (მუშათა დეპუტატების და მათი კაიდიდატების თავყრილობაზე, 8 ნოემბერს). მისი აზრია: 1) ზავი უნდა დამყარდეს ყველა ერების (თუ სახელმწიფოების) შეთანხმებით და არა ზოგიერთების კარნახით; 2) ცნობილი უნდა იქმნეს ყველა ერის უფლება თვითგანვითარებისთვის მათი საკუთარი ცივილიზაციის თანახმათ; 3) ომი უნდა გამოცხადდეს კანონს გარეშე და აღიარებული უნდა იქმნეს სუვერენობა უფლებების; უნდა მოისპოს საესებით შეიარაღებული ძალა, როგორც იარაღი პოლიტიკისა; 4) უმცირესობათა მფარველობა უნდა ვანაშროციელდეს საერთაშორისო მართველობის საშველებით; 5) ევროპა უნდა გაერთიანდეს ფედერაციაში და ნ) არავითარი იმპერიალიზმი: ყველა ერს თანასწორი უფლება უნდა მიეცეს ბაზრებზე გამოსვლის და ნდელი მასალის სარგებლობის.

მუშათა პარტიის ლიდერის ე. იდეალური პერსპექტივები შეკვეცა, ხოლო ზოგი იქ გამოთქმული დებულება უფრო ვრცელათ განავითარა ინგლისის ცნობილ მწერალმა ვალტერ ლიტერმა (გადმოცემული იყო ფრანგულ გაზეთის «L'Oeuvre»-ის მიხედვით ნომრებში, დეკემბერში). მისი აზრით, სამი წინასწარი პირობაა საჭირო ზავის ჩამოსაგდებათ: 1) დამოუკიდებელ პოლინიების და დამოუკიდებელ ჩენოსლოვაკიის აღდგენის უზრუნველყოფა (ავსტრიის შესახებ იგი მოითხოვს თვითგამორკვევის უფლებას); 2) აღიარება, რომ თუ მეომარ მხარეებს შორის დავა ატყდა ახალი საზღვრების შესახებ, ისე როგორც სხვა სადავო საკითხებიც, მესამე პირთ გადაცემა გადასაწყვეტათ და ამით გადაწყვეტილების მხარეები უნდა დაემორჩილნ და 3) უზრუნველყოფა ისეთი წესების, რომ ახლანდელი მდგომარეობა არ განმეორდეს, ყველას საშველება უნდა მიეცეს მშვიდათ ცხოვრების და ნივთიერათ განვითარების.

თვით საზავო პირობებს არ უნდა ექმნეს ხასიათი ბრძანების, რადგან ჩამალდებულ პირობებში მარტრებელი იქნებოდა მომავალში ხელახალ ომების ჩანასახის. ომის საწიშროება მომავალში რომ თავიდან



იქმნას აცილებული, ამისთვის ავტორის აზრით საჭიროა: 1) ან საერთო, მთელი მსოფლიოს, სრული განიარაღება, 2) ან ყველა ქვეყნების შეიარაღებულ ძალების ერთ საერთაშორისო პოლიციის კონტროლის ქვეშ დაყენება; ხოლო ჯერ-ჯერობით არც ერთი მოსახერხებელი და არც მტკიცე (ამის მიზეზებს ავტორი ასახელებს). ამავე დროს პატარა ქვეყნებს მუდამ საშიშროება მოელის, რადგან მათ არ შეუძლიათ საკუთარი საშვალებით ისე შეიარაღდნენ, რომ დიდ სახელმწიფოების შეზღვევას გაუძლონ; ამიტომ მათთვის აუცილებელია ერთი-მეორესთან ფედერაციულათ შეკავშირება. პატარა სახელმწიფოების ფედერაციული დაჯგუფებანი წონასწორობას შეიტანენ ევროპაში ძალთა განაწილების მხრივ. 1919 წლის სახავო ხელშეკრულებათა სუსტი მხარე სხვადასხვა შორის იმაშიც მდგომარეობდა, რომ ავსტრია-ჰუნგრეთი პატარა სახელმწიფოებათ დაყვეს, ხოლო ამ პატარა სახელმწიფოებს ამავე დროს არავინ დახმარებდა იმ შემთხვევისთვის მოსახზადელათ, როცა გერმანია მოლონეობდა; არავის უბრუნვია, რომ ამ პატარა სახელმწიფოებს შესძლებოდათ გერმანიის საკუთარ საშვალებით გამკლავებოდნენ...

ამ ნაკლის გამოსწორება შეიძლება მხოლოდ პატარა ერების შეკავშირების და ფედერაციების საშვალებით, რადგან პატარა ერებს დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეთ სხვების დახმარების. პატარა ერები ალტერნატივის წინაშე დგანან: ან უნდა შეკავშირდნენ, ან დაპყრობილი იქნებიან. შეკავშირებას დიდი მნიშვნელობა ექნება მათი ეკონომიური განვითარებისთვისაც; ისინი ერთი-მეორეს უნდა ეხმარებოდნენ ნივთიერათ, ერთი-მეორეს შეღავათებს უნდა აძლევდნენ აღებ-მიცემობაში, ურთიერთ შორის საბაჟოებსაც უნდა საზობდნენ და სხვ. ვასული ოკი წლის განმავლობაში დიდი სახელმწიფოები დახმარების მაგიერ ხელს უშლიდნენ პატარა ერების ასეთ თანამშრომლობას, მოითხოვდნენ-რა იმათგან რათა ყოველივე შეღავათი, რასაც შეზობელი პატარა ერები ერთიმეორეს მისცემდნენ, აუცილებლათ მათხდაც, დიდ სახელმწიფოებზე, გავრცელებულიყო.

არამტკიც ასეთი უარყოფითი ხასიათის ჩარევა უნდა მოისპოს დიდი სახელმწიფოების მხრივ, არამედ ამათ პირდაპირ უნდა შეუწყონ ხელი, რათა პატარა ერები ერთი-მეორეს დაუხსლოდნენ და შეკავშირდნენ; ამისთვის დიდმა სახელმწიფოებმა არაპირდაპირ იძულებით საშვალებებსაც უნდა მიმართონ, ასე მაგალითად: იმ პატარა ერებს, ვინც ფედერაციასში არ შევა ფინანსიური დახმარება არ უნდა აღმოჩნდნენ, იარაღი არ უნდა მისცენ, გარანტიები არ უნდა დაპირდნენ და სხვ... პატარა ერების ადგილობრივ შეთანხმებებს და ფედერაციებს მოყვება ნივთიანმება და შეკავშირება მთავარ პრინციპების შედაღზე ჯერ მთელი ევროპის (ევროპის ასოციაცია) და შემდეგ მთელი მსოფლიოსიც.

როგორც ადგილობრივი ფედერაციების, ისე მთელი ევროპის ერთ ასოციაციის დაწყების აუცილებელი პირობაა ზოგიერთ ძირითად უფლებებ-

ბის დაცვა, როგორცაა: უზრუნველყოფა სიტყვის თავისუფლების, შეუძლებლობა გაუსამართლებლათ კაცის დაპატიმრების, თავისუფლება მისვლა-მოსვლის და სხვ. ეს იქნება გარანტია უმცირესობათა უფლებების დაცვის. ვინც მოთხოვნილებათა ამ მიზნებს არ დაიცავს, მას ედგობი არ ექნება არც ფედერაციაში და არც ევროპის საერთო ასოციაციაში...

ასეთია მოკლეთ ბ-ნ ლაიტონის მიერ განვითარებული მეტად საინტერესო აზრები ომის შემდეგ ცხოვრების მოსაწყობათ. საერთოდ, ევროპის ფედერაციის შესახებ, როგორც საშვალების ომების თავიდან ასაცილებლად, ხელახლა ბევრს ლაპარაკობენ ევროპაში. საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე ვე დ. სალოდიმ, სხვათა შორის, თავის სიტყვაში სენატში (30 დეკემბერს) აღიარა ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოთა ფედერაციის შესაძლებლობის ვთავალისწინება მომავალში. ევროპის სახელმწიფოთა ფედერაციის თანაგრძობით უცქერინან ამგვრად.

როგორც უნდა იქნეს ეს ფედერაცია, ამის შესახებ კიდევ ბევრს იმსჯელებენ. ყოველ შემთხვევაში, თავიდანვე იულისხმება რომ ეს იქნება ფედერაცია თავისუფად ერთა, პატარა ერების თავისუფლების განსამტკიცებლათ და არა ისეთი "ფედერაცია" ზევიდან ბრძანებით რომ იძლევიან და საბჭოთა კავშირში რომ პტონათ განხორციელებული, და არც ისეთი რეცეპტით გაკეთებული, რუსის ზოგიერთ "დემოკრატს" რომ უჭირავს ხელში დაპყრობილ ერთა რუსეთის სახელმწიფოში გასაჩერებლათ; აჩვენებობებ ფედერაციას, დათანხმით, თორემ დიდი რუსეთი ცხვირ-პირს დაგამტვრევსთო... ასოციალურ მეცნიერებათა თავისუფად კოლეჯში, პარიზში, ვასული წლის დეკემბერში გაიმართა მთელი რიგი კონფერანსების ევროპის ფედერაციის შესახებ, რომლის დასასრულს წარმოთქმულ სიტყვაში (23 დეკემბერს) საფრანგეთის ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და ამბასადორმა ბ ჰენნესიმ მხარი დაუჭირა ევროპის მომავალ ფედერაციას და განაცხადა: ვინც საქმეში ჩახედული არ არის, იმათ შარლემანი, შარლ მეხუთე და ნაპოლეონი ფედერაციების შემქნელები ეგონებთ, ნამდვილათ კი ფედერაცია თვით ხალხების სურვილზეა დამოკიდებული; თუ არ არის კაცი, რომელსაც შეუძლია მოაწყოს ფედერაცია, ჩვენ უნდა ვევიოთ ის ძალები ამ ზხაზე რომ გვიბიძგებენ. ნივთიერათ ეს ძალები გამოიხატებიან: გეოგრაფიაში და ეკონომიკაში. მიუხედავათ ავტორიტების ცდისა, ყველასთვის ცხადია, რომ ეკონომიური ძალები უფრო და უფრო დამოკიდებული შეიქმნენ ერთი მეორედან, ისინი ერთი მეორეს ავსებენ. ამიტომ სახელმწიფოებმა, დღეს რომ ნიეტრალური არიან, თვითონ უნდა მოიფიქრონ თუ რამელ ფედერაციაში შესვლა უფრო სასარგებლოა მათთვის...

ერების თავისუფალი თანამშრომლობა და თავისუფალი კავშირები, რა თქმა უნდა, ძირიანათ ეწინააღმდეგება ტოტალიტარულ სახელმწიფოების სულისკვეთებასა და იმ პორტიკას, ჩვენ თვალწინ



ამ უკანასკნელ წლებში რომ გადაიშალა და ბევრს ამ სახელმწიფოების სიძლიერეთ და წასახაძე მაგალითად რომ ეჩვენებოდა, ესე იგი: ავტარკიას, ეკონომიურ ნაციონალიზმს, რასიზმს, თავისუფალ პატარა ერების დაპყრობას და მუშტის გაბატონებას.

— ჩვენი ნამდვილი გამარჯვება ის იქნება, რომ აყვავდეს თავისუფლებათ, განაცხადა თავის სიტყვაში საფრანგეთის სენატში (28 დეკემბერს), სახელმწიფო ბიულეტენის განხილვის დროს, ფინანსთა მინისტრმა პოლ რენომ: თუ ტოტალიტარული სახელმწიფო დარჩა შემდეგაც ყოვლის შემძლებელი, თუ ომის დასრულების შემდეგაც სახელმწიფოს დარჩა უფლება ყოველგვარ საქმიანობის, საშვალება რწმუნის თავისუფლების შევიწროების და ძირითადი თავისუფლებათა მოსპობის, რაც თვით სიცოცხლეს აძლევს ღირებულებას, მაშ რისთვისღა ვიბრძვითო, განაცხადა იმან. ამნაირათ, სოციალურ-ეკონომიურ სფეროშიც მოსალოდნელია მრავალი ძირითადი ცვლილებანი და შესაძლებელია ეს ზომები იქმნეს მიმართული იმ ეტატიზმის წინააღმდეგაც, რომელიც ტოტალიტარულმა სახელმწიფოებმა უმწვერვალესობამდის განავითარეს და რომელიც გადამდებ სენივით ედებოდა სხვა ქვეყნებსაც, კლავდა ინიციატივას ადამიანისას და სწამლავდა ეკონომიურ ურთიერთობას შიგნით და გარეთ.

ჩვენ მოვიყვანეთ ზოგი დამახასიათებელი გამოხატულებანი დემოკრატიულ ქვეყნების—ინგლისის და საფრანგეთის—საზოგადოებრივი აზრის. აქ სურთ ისევ მომზადებული შეხვედის საზოგადოებრივი აზრი ზავს, როგორც შეხვედა იგი მომზადებული აქ ახლანდელ ომს, რომელში, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ეს ქვეყნები გაიმარჯვებენ. ამიტომ არის ჩვენითვის საინტერესო აქაურ საზოგადოებრივი აზრის მიმართულება. წარსული დიდი ომის და მაშინდელ ზავის შედეგების გამოცდილებით აღჭურვილი ახლანდელი თაობა უსათუოდ უფრო ენერგიულათ შეეცდებიან გამოიყენოს ნაყოფი ახლანდელი გამარჯვების.

გამარჯვება კი, როგორც დავინახეთ, აქ ესმით, როგორც აღდგენა უფლების და იმის გაბატონება უხეშ ძალაზე. ამას ვერ დაისახავდენ თავის მიზნათ, რასაკვირველია, ვერც ისინი, ვინც გუშინ ხიშტით დაიპყრო საქართველო და დღეს თავისი ურდოები პატარა ფინლიანდიას შემოუსია, და ვერც ისინი, ვინც გასულთა ავსტრია, ჩეხთა და პოლონეთი და მოსკოვის ტრანზებს შეგდებოდა გამოუსცადა. ამიტომ ის პერსპექტივები, ინგლის-საფრანგეთის და სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოების საზოგადო-

ებრივი აზრი რომ ითვალისწინებს მომავლის-თვის, გამამხნევებელია ყველა უფლება აყრილ და დაჩაგრულ ერისთვის, და მათ შორის ჩვენთვისაც.

თუმცა ჯერ-ჯერობით უმოვარებად ვეროპის საქმეების მოწესრიგებულა ლაპარაკი, აქაურ ერების დამოუკიდებლობის და უფლების აღდგენაზე, მაგრამ რაკი საბჭოთა კავშირმა ვერ დამალა თავისი ბუნება და თავი გაყო ვეროპის საქმეებში, წაგებულ ომის შედეგებს აწი ვერც იგი გაექცევა. ჯერ პოლონეთზე და შემდეგ ფინლიანდიანზე თავზე დატყვით მან აიხსებდრა თავის წინააღმდეგ ისინიციკი, ვინც უკანასკნელ წუთამდის ლმობიერათ ექცეოდნენ მას. ეს უკანასკნელი ავანტიურები საბჭოთა კავშირს ძვირათ დაუვლებდა.

არც ომების საშიშროების მოსპობაზე მომავალში, არც პატარა ერების უზრუნველყოფაზე ვეროპაში და არც ვეროპის ფედერაციანზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ვეროპის აღმოსავლეთ ნაწილში, საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე, 180 მილიონ ხალხში დარჩა თვითნებობა, უუფლებობა და დესპოტიზმი. რომელი ნდელი მასალის თავისუფლათ და თანასწორათ სარგებლობის და ბაზრების თავისუფლების შესახებ შეიძლება ლაპარაკი (ატილი), თუ დედამიწის მეექვსედი, 22 მილიონი კვილიომეტრი ბუნებით მდიდარი ტერიტორია, კარჩაქეტილი მოსკოვის სათარეშოთ დარჩა? კოლონიების რომელ ავტონომიაზე შეიძლება ლაპარაკი (ბ. ლაიტონი), თუ ვეროპის ყურის ძირში საუკუნოების განმავლობაში საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრებით და კულტურით ცნობილი ერები მოსკოვის მონობაში დარჩნენ? და რომელი ვეროპა გაბედავს თავის-თავის განიარაღებას, თუ რუსეთი შეიარაღებული დარჩა?

ამნაირათ, საბჭოთა კავშირი ვეღარ დარჩება ისე, როგორც არის; თორემ ირდევვა ყველა ის პერსპექტივები, დასავლეთ ვეროპის საზოგადოებრივი აზრი,—საზოგადოებრივი აზრი იმ ქვეყნების, რომელთა გამარჯვებაში დარწმუნებულია ყველა,—მომავლისთვის რომ ითვალისწინებს. ამ მეორე საშინელ ომში ჩათრეული დასავლეთ ვეროპის ქვეყნები არ შესწირავენ მოსკოვს თავის იდეალებს, კვლავ არ ანაგრევიენენ მას ცხოვრებას და ომის საშიშროების ამ ფუძეს მერმისისთვის კიდევ ხელუხლებლათ ვერ დატოვებენ. გამარჯვებულნი მოსკოვსაც საკუთარ კალაოტში ჩააყენებენ და ლავაგს ამოვლენენ, თუ მანამდის თვითონ არ დაეცა საბჭოთა ხელისუფლებამ მის მიერვე გამოწვეულ ომში და არ დაინგრა არტახებში გაკრული საბჭოთა ერების «კავშირი».

ასე ისახება ამ ქამთ მომავლის პერსპექტივები.



მ რ ი ს ა ზ ო შ ი

რუსულ ინტელიგენციის ყველა წრეებს,—მემატრეკენებს, ლიბერალებს და მემარჯვენეებსაც კი,— ეროვნულ საითვის მიდგომაში ახასიათებდა და დიდესაც ახასიათებს ორი საზომის ქონა: ერთი რუსეთისთვის, მეორე კი ყველა დანარჩენ ქვეყნებისათვის. რუსი მეცნიერი, მწერალი, პუბლიცისტი და სხვ., განსაკუთრებით სოციალისტური მიდრეკილების, იმალდებდა და იმალდებს ხმას ერების დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე შეეხება რომელიმე სხვისი ქვეყნის მიერ დაპყრობილ და დაჩაგრულ ერს; იცავდნენ ბალკანეთის ერების თვითგამორკვევის უფლებას და იბრძოდნენ მათ განსათავისუფლებლად; მხარს უჭერდნენ ბურებს და მოხალისეებს უგზავნიდნენ, როდესაც ეს უკანასკნელი უთანასწორო ბრძოლას აწარმოებდა დიდ ბრიტანეთთან. რუსული ემიგრანტული პრესა, განსაკუთრებით ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმართულების, გააფრთხილებული ესწრაფდა თავს იტალიას აბესინიაზე გალაშქრებისათვის, გმობდა და გმობს ნაციონალურ გერმანიის მიერ ავსტრიის და ჩეხოსლოვაკიის დაპყრობას, პოლონეთზე თავდასხმას...

მაგრამ ამავე ხალხს სულ სხვა მიდგომა აქვს იმ ერებისადმი, რომელნიც რუსეთს ყავს დაპყრობილი; საგმობისა, რომ ვინმე კრიტიკი დაძრას ამ ერების სასარგებლოდ და სამართლიანად აღიაროს ამ დამტყვევებელი ერების განთავისუფლება, რომ კორიანტელი ასტეონ: «გვიშველეთ, ვილუბებით!.. რუსეთს დაეყოფას უპირებნა».

ამ უკანასკნელად საფრანგეთისა და ინგლისის პრესამ ყურადღება მიაქცია უკრაინასა და კავკასიას. ეს სახეებით ეთანხმება საფრანგეთისა და ინგლისის პრემიერების ნათელ და უმნიერ განცხადებას შესახებ ყველა დაპყრობილ ერების განთავისუფლებისა და ევროპის მომავლის საერთაშორისო სამართლიანობისა და ერთა უფლებების დაცვის საფუძველზე აგებისა. ამ ყურადღების მიქცევის დაუყონებლივ გამოეხმაურა რუსული ემიგრანტული პრესა და გამოეხმაურა, რათქმა უნდა, უარყოფილია. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბნ პოლიაკოვ-ლიტოვეცის ფელეტონი («პოსლ. ნოვოსტი» № 6862). ეს უკანასკნელი ცდილობს დაარწმუნოს ევროპის საზოგადოებრივი აზრი, რომ რუსული ევროპის განაპირა ქვეყანა და რუსეთის დამარცხება სრულიადაც არ შეადგენს აუცილებელ პირობას გერმანიის გამარჯვებისათვის და ევროპაში ცხოვრების ნორმალურ პირობების აღსადგენად; კარგად მოწყობილი ევროპა თურმე შესაძლებელი ყოფილა იმ შემთხვევაშიც თუ იქედან, ე. ი. ევროპიდან. გამოირცხული იქნება საბჭოთა კავშირი. ბატონ პოლიაკოვ-ლიტოვეცის აზრით ევროპისათვის საშიშარი არ არის ის საბჭოთა კავშირი, რომელიც მილიონებს ხარჯავს, რათა ევროპის ქვეყნებში მრავალ რიცხვოვანი აგენტურა გაიჩინოს მოყიდულ კომუნისტური პარტიების სახით და კო-

მუნისტური გადამდები სენი ავრცელოს ამ ქვეყნების დასაწვრვად და ბოლშევიკურ ანარქიაში გასახვევად; საშიში არ არის ის საბჭოთა კავშირი, რომლის დირექტორები დღე და ღამ მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ წააკიდონ ერთმანეთს ევროპის დიდი და პატარა სახელმწიფოები და ამღვრეულ წყალში თევზი იჭირონ; საშიში არ არის ის კარგული, რომელიც უსაშინლეს აგრესორს—ნაციტურ გერმანიას—ამოუღდა გვერდში დიდ კულტურისა და ცივილიზაციის მქონე ქვეყნების დასაწვრვად და განსაზღვრებლად. ეს ცინიკური გამოქომაგება საბჭოთა კავშირისა დასებირდა ბნ პოლიაკოვ-ლიტოვეცეს იმისთვის, რომ შესაძლოა მოკავშირეებმა კავკასია ჩამოსაჭრან რუსეთს».

ამავე საითვის უბრუნდება აღნიშნულ გაზეთის მომყოლი ნომრის მეთაურები და მოთქვამს, რომ სტალინის რევიმის შესახებ სიმართლის გამოშვარავეების პროცესს «შეწყვეტს პლანები რუსეთის დაყოფისა, უკრაინის პურის და კავკასიის ნავთის დატაცებისა».

ამავე საითვის უტრიალებენ კერენსკის «ნოვია როსისა» («La Russie Nouvelle») და რუს მენშევიკების «სოც. ვესტნიკი» («La Courrier Socialiste»). განსაკუთრებით ყურადღების ღირსია დასაცხილი ნაწილი იმ მემორანდუმისა. რომელიც წარუდგენია ფრანგულ პოლიტიკურ წრეებისათვის «გამოჩინილი პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს დემოკრატიულ მიმართულებისა». ეს დოკუმენტი დემონსტრირებულა ამავე გაზეთს «დემოკრატიულ მიმართულების მოღვაწის» ანტი-დემოკრატიულ სულისკვეთებას. დღეს დემოკრატიული მიმართულების ყველა დიდი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები იმაზე ფიქრობენ, რომ ხვალინდელი ევროპა მოაწყონ ახალ საფუძველზე, სადაც საერთაშორისო დამოკიდებულება დამყარებული იქნება საერთაშორისო სამართალზე და მორალზე. რუსული ტიპის დემოკრატიული მოღვაწე კი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ როგორმე რუსეთი დარჩეს დაპყრობილ ერების ციხეთ. ევროპის საზოგადოებრივი აზრი ფიქრობს, რომ ყველა ერს, როგორც დიდს, ისე პატარას, უნდა მიენიჭოს სრული ერთგული დამოუკიდებლობა; ეს დამოუკიდებელი ერთი შევა ევროპის ფედერაციაში, როგორც ერთი მისი წევრი. მემორანდუმის ავტორი ამ წესის რუსეთზე გაავრცელებას აცხადებს რუსეთის დაყოფად და მის დალუპება. —თუ საფრანგეთია იმპერია, რატომ რუსეთი არ უნდა იყოსო, ჩივის იგი, მაგრამ რატომ იმას არ გაისწენებს, რომ საფრანგეთმა ამ სამოღელ წლის წინად ნებაყოფლობით მიაწიჭა დამოუკიდებლობა სირიას და არაგის აზრად არ მოსვლია ეს აქტი გამოეცხადებოდა საფრანგეთის დასაწილებად.

მემორანდუმის ავტორი ცდილობს დააშინოს საფრანგეთის პოლიტიკური წრეები, —თუ რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები განთავისუფლდნენ, დიდი რუსეთი გაქრება; ეს გააძლიერებს შორეულ აღმოს.

საველეთში იაპონიას და ევროპაში გერმანიას; დიდი რუსეთი კი ევროპაში დემოკრატიის ბუნებრივი მოკავშირე იქნებაო. მერე ვინ არის ამის თავდებრივი თუ ევროპა ძველ ნიადაგზე დარჩა ვის შეეძლება თქვას, თუ რანაირი საერთაშორისო მდგომარეობა შეიძლება მომავალში, რომელი სახელმწიფოს ინტერესები დაუპირდაპირდება მეორისას და ვის მხარეზე აღმოჩნდება დიდი რუსეთი—ევროპის დემოკრატიის თუ მის მოწინააღმდეგის? ისტორია გვასწავლის, რომ დიდ რუსეთს დიდი მადა აქვს პატარა მეზობლების გადაყლაპვის და ვინ იძლევა იმის პირობას, რომ დიდი რუსეთი არ მოინდომებს ბალკანეთის ქვეყნების გადაყლაპვას. ბასფორ—დარდანელზე გამაგრებას და ინდოეთზე გაბატონებას? ან იქნება ესეც ევროპის დემოკრატიის ბუნებრივი მოკავშირეობას ნიშნავს?!

მემორანდუმის ავტორს ბანს ეუბნებიან ბ-ნი ბერლინი, ბ-ნი ოდინცი, ბ-ნი დანი და ძმანი მათნი; ყველანი იმის დამტკიცებას ცდილობენ, რომ, თუ რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები განთავისუფლდნენ, თურმე დაიღუპება არა მარტო რუსეთი, არამედ ევროპის დემოკრატიაც. მერე რატომ დაიღუპება რუსეთი და ევროპის დემოკრატიც, რომ რუსეთს ჩამოსცილდეს, მაგალითად, კავკასია? ან რატომ უნდა ეწოდებოდეს ანას რუსეთის დაყოფა და არა დაპყრობილი ერების განთავისუფლება?!

კავკასია არის რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყანა; კავკასიის ხალხებს აქვს თავისი ეროვნული ენა, კულტურა, ზნე-ჩვეულებანი და ისტორიული წარსული,—საესებით განსხვავებული რუსულისაგან. თვითმეტ მილიონიან კავკასიის მოსახლეობას აქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისეთივე უფლება, როგორიც ავსტრიას, ჩეხებს, პოლონეთს და სხვა სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე დაპყრობილ ერებს. მაშ რატომ, რომელი საზღვარილი მოსაზრებით ეუბნებიან ეს რუსი პატრიოტები უარს რუსეთის მიერ დაპყრობილი ერებს იმ უფლებაზე, რომელიც მათ არ შურთ აგრესიულ ქვეყნების მიერ დაპყრობილ სხვა ერებისათვის? ამ ორი საზომის ქონა განა არ აშკარავებს მათ იმპერიალისტურ და აგრესიულ სულისკვეთებას?

რა ფასი უნდა ქონდეს ამის შემდეგ იმ პროტესტებს ქვეყნების ბარბაროსების წინააღმდეგ და იმ თანაგრძობას გმირულ ფილიანდიის მიმართ, რომელსაც ვხვდებით რუსულ გაზეთების ფურცლებზე? ასეთი პროტესტები და თანაგრძობა ჩვენ მოვისმინეთ ამ ცხრაშვიტი წლის წინეთაც, როდესაც მოსკოვმა თავისი დამშუული წითელი არმიელები შემოუსია საქართველოს დასაპყრობად და გასაძარცვავათ. მაგრამ დღეს კი, როდესაც საქართველოს დაპყრობა სამწუხარო ფაქტია, ამ დაპყრობილი ქვეყნის რუსეთთან ჩამოცილებაზე და მისი ეროვნულ სუვერენობის აღდგენაზე გაგონებაც კი არ უნდათ იმ ხალხს, რომელნიც მოსკოვს პროტესტს უცხადებდნენ, ხოლო წითელ არმიელის ჩექმით გასრესილ საქართველოს კი თანაგრძობას.

ფარისებური ზნისა და ორი საზომის მქონე რუსმა იმპერიალისტებმა ერთხელ და სამუდამოდ

უნდა შეიგნონ, რომ ევროპა მთელია და ამ მთელის გაჯანსაღება, მისთვის მომავალში სისხლის მღვრელ ომების თავიდან აცილება და მისი მომავლის მშვიდობიანობისა და სამართლიანობის საფუძველზე აგება შესაძლებელი ვახებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განთავისუფლებული იქნებოდა ყველა სახელმწიფოებრივად მომხადებული დაპყრობილი ერები, როგორც დასავლეთ ევროპაში ისე მის აღმოსავლეთ ნაწილშიც.

ბ. არიძე.

ფ ი ნ ლ ი ა ნ დ ი ა

საბჭოების მხაკერულმა თავდასხმამ პატარა ფინლიანდია მთელი კაცობრიობის ყურადღების ცენტრში მიაქცია. ფინლიანდიაც თავის უმაღლურ ბუნების წიაღში განუწყვეტელი შრომით ქმნიდა ამ უკანასკნელზე გაბატონების და საერთო ბედნიერების შინაურ პირობებს. მისი სხვა მხოლოდ იქ გაისმოდა, სადაც საქმე მხოლოდ გონებრივ და სპორტიულ შეჯიბრებას ეხებოდა. ამ მიმართულებით ის კაცობრიობის ავანგარდში ირიცხება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ პატარა სახელმწიფო შეიძლება დიდ ბუნების მქონე ერს იტყვედეს.

ისტორიის პირობონტზე ფინები მე-11—12 საუკუნეში ჩნდებიან. მანამდე ისტორიას მათ შესახებ ცნობები არ მოეპოება, გარდა იმისა, რომ ეს არის ინდო-ევროპული რასის მოდგმა და დღევანდელი უნგრელ-მალთარების ახლო მონათესავე. დღევანდელი ფინლიანდიის სამხრეთ ნაწილიდან მათ განდევნეს ჩრდილოეთისკენ ადგილობრივი მეციდრნი—ლაპარები—და დაიკავეს მათი სათავადაო. მე-12 საუკუნეში ნახევარში, სახელდობრ 1154 წელს შვეციის მეფე ერის მეცხრემ ისინი დაიმორჩილა და გააქარსიტანა. ამას შემდეგ ამ ორ სკანდინაველ ერთა მატერიალურ-ფსიქოლოგიური კავშირი და თანამშრომლობა არ შეწყვეტილა. შვეციის ბატონობა, პროტექტორატის სახელს რომ უფრო იმსახურებს, ფინებს უტოვებდა სრულ თავისუფლებას შინაურ საქმეებში. მათ შეინარჩუნეს ადგილობრივი მართვა-გამგეობა, ენა, ტრადიციები, ზნე-ჩვეულება. 1581 წლიდან ფინლიანდია ხდება დიდ სამთავროდ. რუსეთთან მუდმივ კონფლიქტში დასუსტებული შვეცია 1721 წლის ნიშებადების ზავით ფინლიანდიის ნაწილს უთმობს რუსეთს, ხოლო 1809 წელს ეს ქვეყანა ალექსანდრე პირველს თავის დიდ მთავარად აღიარებს. ამ ხალხის კულტურის და თვითშეგნების უმაღლესმა დონემ განსაზღვრა რუსეთის ლიბერალური პოლიტიკა მის მიმართ. მან, ალექსანდრე პირველის დაპირებით შეინარჩუნა ფართო ავტონომიის ტრადიტი, რომლის ძალით მის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ ცნობილი იქნა სეიმი, რომლის პირველი სხდომა გახსნა 1863 წ. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ. ეს ლიბერალური პოლიტიკა რომანოვთა რუსეთისა გაგრძელდა ალექსანდრე მეორეს დროსაც, მაკარე 15 თებერვლის მანიფესტის ნიკოლაზ მეორემ მოსკო ფინლიანდიის ავტონომია



და ის რუსეთის ადმინისტრაციულ ერთეულად გადაქცევა. ამ დღიდან გაჩაღდა ბრძოლა მოძალადის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის სივანელი იყო ფინლიან-დიელი პატრიოტის ბაუმანის ტყვეა. ღენერალ-გუბერნატორი ბობრიკოვი რომ განგმირა. საერთო უკმაყოფილების პირობებში გაძლიერდა არალე-გალური პარტიები და ყველაზე მეტად ფინლიანდი-ის სოციალდემოკრატია, რომლის ერთი ძველი ლიდერთაგანია დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ტანერი.

თებერვლის რევოლუციას ფინლიანდიის ერთი დარაზმული შეხება და 1917 წლის 6 ნოემბერს სეი-მის თავმჯდომარემ სეინსუეუდმა მისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საბჭოებმა იცნეს იგი, მაგრამ თავიანთი იმპერიალისტური გეგმების გასანადგებლად რუსული ვარნიზონები იქიდან არ გაიყვანეს. ეს ვარნიზონები გადაიქცნენ წითელი არმიის და ეროვნული სხეულის მომშლელ მიკრობების გამავრცელებელ საშუალებად. მოიშალა ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრება და საფრთხეში ჩავარდა მისი დამოუკიდებლობა. ამ დროს სცენაზე გამოდის ღენერალი მანერგეიმი რომელიც უიარაღად და უმინიშნელო ჯარისი იწყებს თავისი ქვეყნის მტრისგან გაქმნას. 1918 წლ. 28 იანვარს იწყება დამოუკიდებლობისათვის გმირული ბრძოლა ბოლშევიკურ რუსეთის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა დარჩება ფინლიანდიის ისტორიაში მისი ცხოვრების უნარიანობის, სიმამაცის და ეროვნული ნებისყოფის შეუღარებელ მაგალითად. ბევრი მისი ეპიზოდი, როგორც ტამარაფორის, ვახას, ლახტის, ვიბორგის და სხვათა აღება აღიბეჭდება სტრატეგიაში, როგორც ფინლიანდიელების სასწაულებრივი სიმამაცის უტყუარი მაჩვენებელი.

ამ რიგად ფინლიანდიამ გმირულად მოიგერია კომუნისტების ბარბაროსული პირველი შემოსევა და თავისი ქვეყნის შინაური წესწყობილება ააგო დემოკრატიის და თავისუფლების უმაღლეს პირობებზე; 1930 წელს კი რიცხვით უმნიშვნელო კომუნისტური პარტია კანონს ვერაზე გამოეცხადდა და ამით შინაური მნიშვნელობა განამტკიცა.

1937 წლის არჩევნების შედეგად სეიმის უმრავლესობა გადავიდა სოციალისტების ხელში, რომელთაც ბოლშევიზმის ნამდვილი, მხეცური ბუნების კონცხი სავალეხა აღივსო სხვა ქვეყნების სოციალისტების საბედისწერო შეცდომა აიცილოს და დემოსტაც და ემშაკსაც ერთსა და იმავე დროს არ აეკრიბო. ძნელია და შეუძლებელი დღევანდელი ფინლიანდიის სოციალურ-ეკონომიური მიღწევების ჩამოთვლა და დახასიათება მოკლე წერილის ფარგლებში. სახელმწიფო და კერძო ინდუსტრიის პარმონიულმა თანამშრომლობამ იქ გამოიღო შესამჩნევი შედეგები. სახელმწიფო აშენებს სახლებს, აწყობიერებს მიწებს, რომლებიც ამდებულ გლეხთა კერძო საკუთრებაში გადადის. შემსტემა მოსპო სიღარიბე და უმაღლეს წერტილამდი აიყვანა საერთო ცხოვრების დონე. განვითარდა სპორტი, ჰიგიენა. მოშლილი ეკონომიკა კომპრობირების და ერთიერი დამხმარე საზოგადოებების წყალობით

გაჯანსაღდა. სოციალურ დაზღვევის დარგში პატარა ფინლიანდიამ მიადწია რეკორდი: 3 800 000 მცხოვრებზე იქ ითვლება 2.200.000 დაზღვეული, 500.000 პენსიონერი და არც ერთი უმუშევარი. განათლებული კაცობრიობის აღტაცებას იწვევს ამ პაწია. 60 000 ტბით მოფენილ ქვეყნის კეთილმოწყობა და ტენსიკური მიღწევები.

აი, ამ ხალხს მოუნდომა მონობის უღელში შებმა დამარცხებული პოლონეთის ნაწილის დაპყრობით და განიარაღებული ბალტიის ქვეყნების გავესალეობით წაქეზებულმა მოსკოვმა. 170 მილიონიანი დამონებული ბრბო მან მხავერულად მიუსია 3 ნახ. მილიონიან კულტურულ ერს.

პირშინდათ ვანმოსა საქართველოს მაგალითი. იგივე შულავერი ტერიოკში ვადატანილი, იგივე მახარაძე კულსინენად წოდებული; იგივე სცენარი, იგივე ტრალეცია, ლალატი, სისხლი და აწიოკება. მაგრამ ტირანი ანგარიში მოსტყუვდა. 1939 წელი 1921 წელს არა ჰკავს. ფინლიანდიას აქვს 21 წლის ინტენსიური სახელმწიფო ცხოვრება. გიგანტიურ აღმშენებლობით მუშაობის პარალელურად მან მოახერხა საზღვრების გამაგრება, შეიარაღება, ერის სამხედრო ემბაზოში ამოვლება და მამულიშვილური სულის განმტკიცება.

ფინლიანდია დღეს ცივილიზაციის ავანგარდი და ციტადელია. მის დასაცავად გაერთიანდა მთელი კაცობრიობა და მისმა დანებარებულ უკვე ნაყოფი გამოიღო. უფიცი შტაბის მეთაურობით სასიკვდილოთ განაწირული მოსკოვის წითელი ჯარები ფინეთს მამუც ბრძოლას ველარ უძლებენ და უამრავი მსხვერპლით სასირცხლო უკან ვარბიან.

მთელი კაცობრიობა განცივიერებაში მოყავს ფინლიანდიის ჯარის გმირულ მამაცობას და მისი სარდლობის შეუდარებელ სტრატეგიას. ჯერე ერთობით პატარა დავითი ამარცხებს დიდ გოლიათს. უსურვო მას საბოლოო გამარჯვება.

კალ.

ფინლიანდია და საპატრიოლო

ოც წელზე მეტია, რაც თავისუფლებისა და შრომის მოყვარულმა ფინეთის ერმა მყარე საძირკველი ჩაუყარა ეროვნულ დამოუკიდებლობას. შექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო და უზრუნველყო მისი მომავალი.

დემოკრატიულ მართვლობის დამკვიდრებამ შესაძლებელი გახადა სოციალ-პოლიტიკური საკითხების სამართლიანად გადაჭრა. ფინლიანდიის მშრომელმა ხალხმა განდევნა საზოგადოებრივ ასპარაზის დან ბოლშევიკური ელემენტები და ათიოდე წლის უკან, ერის უზენაესმა წარმომადგენლობამ კანონს გარეშე გამოაცხადა მოსკოვის ადგილობრივი საავანტურა-კომუნისტური პარტია. ფინეთის ფხიზელი გონებამ, გამპრიახობამ და მაღალმა კულტურამ უარყო აზიურ ფანტიზმის ზეცა.

ბოლშევიკური ტირანია, ცხადია, ვერ მოითმენდა თავის მუხობლად ასეთი ერის არსებობას, მის

კულტურულ და ეროვნულ აყვავებას, როგორც ვერ მოითმინა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ფინლიანდიაზე თავდასხმასთან დაკავშირებით ევროპის სოციალისტური და დემოკრატიული პრეზბი (ბელგიის სოციალისტური ორგანო "პოპლ"-ი და საფრანგეთის "პოპულარ" ი. ენევის "ეურნალ დე ენევი" და სხვა) აღნიშნავენ, რომ რუსეთმა, იცნო საპროტეგლოს დამოუკიდებლობა, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ომის გამოუთქვამდნ თავს დაესხნა, თავისი მტაცებლური ნაბიჯები რომ გაემართლებინა შუალავერში შეადგინა ქართველი მოღალატის მახარაძის მეთაურობით ე. წ. "მთავრობა"; გამოიგონა არ არსებული აჯანყებები, ვითომდა არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ.

შემოსეულ მტერს საქართველო მედგარად დახვდა, მას ღირსეული ბრძოლა გაუმართა. მეტროლჯარების ზურგში არც ერთს გამოსვლას ადვილი არ ჰქონია. ქართველმა ერმა ერთსულაოვნად გააქიცხა მოღალატეთა მოქმედება. შუალავრის გმირებმა შესძლეს საქართველოს სოვეტიზაცია წითელი ჯარების საშვალებით...

რუსეთის იმპერიალიზმა ერთხელ კვლავ იდღე სასწაულა გამოარჯგება, საქართველოს უფლება აპყარა და გადააქცია იგი საბჭოთა კავშირის კოლონიად ფინლიანდიის დასაპყრობად მან გაიმეორა თავისი მხაკერული პოლიტიკის მეთოდი, თავის დროზე საქართველოს წინააღმდეგ ხმარებულ.

მსგავსად შუალავერში გათამამებულ კომედიისა სტალინმა ფინლიანდიის სახლვარზე შეადგინა "მთავრობად" წოდებული ორგანო, ფინელ მახარაძის-კუუსინინის მეთაურობით და ფინლიანდიის ერის ნამძვილ წარმომადგენლებთან მოლაპარაკების გაგრძელებზე უარი განაცხადა. კუუსინინის "მთავრობას" არ აღმოაჩნდა არც ერთი მომხრე ფინლიანდიაში, მოსკოვი კი უსირცხვილოდ იმეორებს მას, რასაც ამბობდა საქართველოს შესახებ: ფინლიანდიის მშრომელთ სტანჯავენ, ისინი გმინავენ კაპიტალისტური მთავრობის უღლის ქვეშ და მოითხოვენ წითელი რუსეთისაგან დახმარებას, რათა თავი გაიანთავისუფლოს შინაურ მჩაგვრელებისაგან. საბჭოთა ჯარები ვალდებულა ფინლიანდიის მშრომელთა მოწოდებას უპასუხოს დახმარებით. ო და ს.

მოსკოვის იმპერიალისტიკის წინააღმდეგ დაირაზმა ერის ყველა სასიცოცხლო ძალეობი, მთავრობის გარშემო შემოიკრიბნენ ყველა პოლიტიკური პარტიები. მხნე და გულადმა ერმა, როგორც ერთმა კაცმა იარალი აისხა და შემოსეულ ურდოებს გმირულ ბრძოლები გაუმართა.

მოსკოვი შეცდა ანგარიშში. თუ საქართველოს მხოლოდ სამი წელი ჰქონდა თავის სახელმწიფო აპარატის მოსაწყობად, ფინლიანდიას თავის განყარგულევაში ჰქონდა ოცი წელიწადი, რათა მტკიცე ციხის კვლები აღეშობა თავის დამოუკიდებულ არსებობის დასაცავად. სტალინის ვერაგულმა მოქმედებამ აღაშფოთა კაპობრობის სინდისი. ერთადიგამ რუსეთი ევროპის ოჯახიდან გააძევა. ევროპის თავისუფალ ქვეყნების ოკიოცალურ წარმომადგენელთა განცხადება მოარალურ და მატერიალურ

დახმარების გასაწევად ამტიციებს თუ რამდენად შეიგნო და შეითვისა დასავლეთის საზოგადოებრივმა აზრმა, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს მოსკოვის ტირანისი მორიგე გამარჯგება თავისუფლები მოყვარული ერზე, რაც ამავე დროს მოასწავებს ცივილიზაციის განადგურებას, პატარა ერთა დამოუკიდებელ არსებობის მოსპობას და ბარბაროსობის დაწყარებას.

ფინლიანდიაზე თავდასხმით რუსეთის იმპერიალიზმის ზრახვები აშკარა შეიქნა არა მარტო დიპლომატიისა და მართველ წრეთათვის, არამედ ფართე მთავრობისთვისც.

ქართველი ერის თანაგრძობა საყვებით მეტროლი ფინეთის მხარუნება; იგი აღდგომოვანებულა ფინეთის ჯარების გმირობით და იმედისანად შეყურებს პატარა გმირულ ერის მომავლას.

დაპყრობილ საქართველოს არ ძალუძს დღეს გვერდში ამოუდგეს მეტროლი ფინლიანდიის და რეალური დანაშაუდა აღმოუჩინოს მას, მაგრამ მას აერთებს ფინეთთან ერთი მიზანი, ერთი მისწრაფება. — რუსეთის იმპერიალიზმის დამხობა და საყუთარი არსებობის შენარჩუნება. მოსკოვის ტირანისი დამხობა უზრუნველყოფს ამ მიზანთა მიღწევას და ხელს შეუწყობს ევროპის ახლა მომავლის მოწყობას მშვიდობიანობის და სამართლიანობის საფუძველზე.

3. სარჯველადე.

3 ი ნ მ ო ი მ ბ ე ს ო მ ს

ომის მოიციებს, ვინც უფრო მდიდარია, იმიტომ რომ "ძლიერ ხმალს ძლიერი ქისა სჯობნისო". — ასეთი აზრი განავითარა ამას წინათ ცნობილ ინგლისურ განუთის "დეილი ეკსპრესს" ის ფურცლებზე (13 იანვრის ნომერი) ამ განუთის გამოცემულმა ლორდმა ბივერბრუკმა. თავისი აზრი მან დასაბუთა დიდი ბრიტანეთის და მისი მოკავშირეების ახლანდელი ნეთიერ მდგომარეობის აღწერით და ამ მდგომარეობის 1914 წლის (დიდი ომი) მდგომარეობასთან შედარებით.

ამის მიერ მოყვანილი ზოგი საინტერესო ცნობა: ახლანდელი ომი ორჯელ უფრო ძვირათ უჯდება დიდ-ბრიტანეთს და საფრანგეთს, ვინემ 1914 წლის ომი. ახლა ინგლისი ხარჯავს დღეში დაახლოებით 6 მილიონ გირვ. სტერლინგს, მაშინ კი ხარჯავდა 3 მილიონ გირვ. სტერლინგს; საფრანგეთი ახლა ხარჯავს დღეითურთ 4 ნახევ. მილ. გირვ. სტერლინგს, 1914 წლის ომში კი ხარჯავდა დღეში 2 ნახევ. მილ. გირვ. სტერლინგს. ევროპი, ავიაციანე და სამოქალაქო მოსახლეობის თავდაცვის და ევკუატიის საქმეზე ახლა იმდენი იხარჯება, რომ უწინდელ ომის ხარჯის ამ საქმეზე შედარებაც არ შეიძლება.

საიდან ფარავს ამ უზარმაზარ ხარჯებს სახელმწიფო? 1915 წელს დიდი-ბრიტანეთი ხარჯების ერთ მეოთხედსაც ვერ ფარავდა სახელმწიფო გადასახადებით, დანარჩენი ხარჯები იფარებოდა სესხით. ახლა კი სახელმწიფო გადასახადებით იფარება ხარ-



ჯგუბის ნახევარი და მხოლოდ მეორე ნახევარის დაფარვა ნაგულისხმევი სესხით. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავლისთვის; იმისთვის რომ ომის გათავებისას სახელმწიფო არ იქნება დამოკიდებული საბანკო კრედიტის ინფლიაციაზე, რომლის კუთვლი შედეგები ჩვენ დავისინებ წინანდელ ომის დასასრულს...

მოკავშირეებს აქვთ დიდალი საკუთარი ნედლი მასალა და საკუთარი ძლიერი წარმოება, მაგრამ ამასთანავე დიდძალი ოქრო აქვთ დაგროვებული ნედლი მასალისა და სხვა საგნების უტყობი შებენათ. სახელდობს აქვთ ოქრო: დიდ-ბრიტანეთს—500 მილიონი გირვ. სტერლინგი, საფრანგეთს—750 მილ. გირვ. სტერლინგი, კანადას—54 მილ. გირვ. სტერლ., ბრიტანეთის და საფრანგეთის სხვა ნაწილებს—130 მილ. გირვ. სტერლ.; სულ 1.434 მილიონ გირვანქა სტერლინგი.

გარდა ამისა, დიდ-ბრიტანეთს, საფრანგეთს და კანადას მომარაგებული აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაღდ-ფულათ თუ სხვაგვარ სახით უზრუნველყოფილი, ყველას ერთად 1.047 მილიონი გირვ. სტერლინგი.

ამნაირათ, მოკავშირეთა მყიდველობითი საშუალებანი უდრის დაახლოებით 2.490 მილიონ გირვ. სტერლინგს ნაღდათ; 1914 წელს კი ამათი რესურსები, ოქროსი და დოლარებით, შეადგენდა დაახლოებით 1.600 მილ. გირვ. სტერლინგს. ასე აღემატება მოკავშირეების ახლანდელი შესაძლებლობა ფულათ 1914 წლისას.

ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოებაც, რომ შეერთებ. შტატები, რომელიცაა საქონლის უდიდესი ნაწილის გამყიდველი, თითონაც ყიდულობს საქონელს ინგლისიდან და საფრანგეთიდან თუ მათი იმპერიების სხვადასხვა ნაწილიდან. ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს მოკავშირეების მყიდველობითი ძალას.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ოქროს წარმოება,—და ოქრო ხომ უმთავრესი საშვალეობაა საგარეო აღებ-მყიდვების,—იმტა ბრიტანეთის იმპერიაში: თუ 1914 წელს იქ მზადდებოდა 14 მილ. უნცი წმინდა ოქრო, ახლა იქ მზადდება 23 მილიონი უნცი.

ეს დიდძალი ფული და ოქრო განუსაზღვრელ საშვალეობას აძლევს მოკავშირეებს ნედლი მასალის შესაძენათ თუ სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. მით უფრო რომ ნედლი მასალა ახლა ვაკაფელებოდა. ერთ ფრიად ცნობილ ფინანსიურ ჟურნალის გამოანგარიშებით, წარსულ დიდი ომის დროს დიდ ბრიტანეთში შემოუტანიათ ნედლი მასალა 385 მილ. უნცი ოქროს ღირებულების; ახლა ამავე ნედლი მასალის შესაძენათ საქმარისია მხოლოდ 154 მილ. უნცი ოქრო.

მოკავშირეებს აქვთ ხკომ თავისი საკუთარი ნედლი მასალაც და ახლა გაცილებით მეტ ვინმე ჰქონდათ 1914 წელს. საქმარისია დასახლებდა მხოლოდ ზოგიერთის იმათგან და ისიც მარტო ბრიტანეთის იმპერიაში. ასე, უდრიდა აქ წარმოება (ტონობით):

	1913 წ.	1930 წ.
ნიკელის	22.500	102.000
სპილენძის	94.000	600.000
აღმუშინიუმის	25.000	400.000
რუბინის	46.000	600.000
კოქსის	90.000	415.000

რაც შეეხება ზეთულს (ნავთი), რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ომის წარმოებისთვის, იმას აძლევს ბრიტანეთის იმპერიას საკუთარი წარმოება 6 მილ. ტონას, ხოლო იმპერიის კონტროლის ქვეშ მყოფი წარმოებანი 25 მილ. ტონას; ესე იგი, ამ მხრივ იმას იგივე ადგილი უჭირავს მსოფლიო წარმოებაში, რაც 1914 წ. ეჭირა, და სარგებლობს უპირატესობით შეიძინოს ფულით იმპერიის გარეთ 25 მილ. ტონი.

ამნაირათ, მოკავშირეების და კერძოდ დიდ-ბრიტანეთის იმპერიის ძლიერება იმდენათ დიდია და თვალსაჩინო,—და თუ ომი გაგრძელდა მოკავშირეები კიდევ უფრო გააძლიერებენ თავის წარმოებას,—რომ მათი დამარცხება შეუძლებელია; ამიტომ ავტორიც სრული იმედით შესცქერის მომავალს.

—30.

ს ა მ ა რ თ ე მ ტ ი რ ი

ევროპის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების, მთავრობათა ოფიციალური წარმომადგენლების, თუ პრესის დიდ ყურადღებას იქცევს დღეს საკითხი—ვინ არის საერთაშორისო შვიდობიანობის, ზავის, კულტურის, ცივილიზაციის, ერთა დამოუკიდებლობის და ყოველგვარ თავისუფლების უფრო დიდი მეტრი, პიტლერი, თუ სტალინი, ნაციზმი, თუ ბოლშევიზმი?

ზოგს აღშფოთებს გერმანიის აგრესია ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის და პოლონეთის წინააღმდეგ, მაგრამ ბევრს არაფერს ამბობენ. როცა საქმე ეხება საბჭოთა რუსეთის დომინაციას ბალკანის სახელმწიფოებზე, თუ სხვა ერებზე. ზოგი იმათგანი კი, ვინც სასტიკად გამოხატავს დღეს რუსეთის აგრესიას პატარა ფინლიანდიის წინააღმდეგ, ამავე თავდადებით არ ებრძოდენ გერმანიის შესევას ჩეხოსლოვაკიაში და პოლონეთში.

ცხადია კი, რომ სტალინის და პიტლერის მიზანი ერთი და იგივეა. როგორც ნაცისტურ გერმანიის, ისე ბოლშევიკურ რუსეთის მისწრაფება საყოველთაო ბატონობა-გეგემონია. ნაციზმის და ბოლშევიზმის მთავარი მიზანარსი—იმპერიალიზმი.

გერმანიამ სახარებათ მიღებული პიტლერის წიგნი—Mein Kampf-ი ვრცელად და ბევრს დაპარაკობს სხვა ერთა შორის გერმანიის ერის უპირატესობაზე და მისი სხვებზე გაბატონების საჭიროება-აუცილებლობაზე. წყროლ ერთა არსებობა პიტლერს არ სწამს და ისინი მსხვილ და მძლავრ სახელმწიფოთ უნდა შეწყვირონ. თუ რა ფორმა უნდა მიიღოს კონკრეტულია პიტლერის ამ აზრში, ამას ეხლა ააშკარავენ მისი მესაიდუმლე და პარტიული ამხანაგი, დანცინგის სენატის ყოფილი თამჯდომი-

რე—რაუზნიცი, ვისთანაც ჰიტლერს გასულ წლებში ხშირად ჰქონია საუბარი თავის პროგრამაზე და გეგმებზე.

ჰიტლერის გეგმით გერმანიას უნდა შეერთებოდა ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ბალტიის და ბალკანეთის სახელმწიფოები, უნგრეთი, უკრაინა, მდინარე ვოლგის რაიონი, საჯარო თვით და სხვა. ეს ქვეყნები იქნებინა მოთავსებული გერმანიის იმპერიაში, მაგრამ, ჰიტლერის აზრით, მათ არ ექნებათ იგივე უფლებები, როგორც გერმანელებს; მათ არ ეყოლებათ საკუთარი ჯარი, არ ექნებათ თავისი საკუთარი პოლიტიკა და თავის სურვილისამებრ ვერ მოაწყობდნენ თავის ეკონომიურ ცხოვრებას. ამ გეგმით გერმანიიდან დამოკიდებული და ვასალურ მდგომარეობაში იქნებინა აგრეთვე: გოლანდია, ბელგია, ჩრდილოეთ საფრანგეთი და სკანდინავიის ქვეყნები. ეს ფრიად ფართე გეგმა ჰიტლერმა აჯერჯერობით ნაწილობრივად განახორციელა: მან დღევანდელ მხროლად ავსტრია, ჩეხოსლოვაკია და პოლონეთის ნახევარი დაიპყრო.

მაგრამ სანამ კიდევ ჰიტლერი გამოჩნდებოდა აგრესიობის და მტაცებლობის ასპარეზზე, წერილი ერების დაპყრობის და დომინაციის გეგმა ჰქონდა უკვე შედგენილი ბოლშევიკებს და ამ გეგმას ისინი ანხორციელებდნენ; მათ დაიპყრეს და დაიმონავეს თავისუფალი უკრაინა, თურქესტანი, კავკასიის თავისუფალი ერები. 1918—1920 წლებში მათ ახრათ ჰქონდათ დაეპყრათ ბალტიის ქვეყნები და პოლონეთი. 1920 წელს მათ ომიც აწარმოეს პოლონეთთან და ამ ომში რუსეთი მაშინ სასტიკად დამარცხდა. იმ ხანებში ბოლშევიკები მოწადინებული იყვნენ აგრეთვე შინაური აფეთქებით და სამოქალაქო ომის საშუალებით ბოლშევიზაცია მოეხდინათ ცენტრალურ ევროპის და ბალკანეთის ქვეყნებში და ამ გზით იქ ყოველგან მოსკოვის გავლენა განემტკიცებიათ. მაგრამ ეს მაშინ ვერ შესძლეს.

საერთოდ კი; არა ჰიტლერმა ასწავლა სტალინს და ბოლშევიკებს სხვა ერების დაპყრობა და დამონავება; არამედ სტალინი და ბოლშევიკები ასეთ საქმეებში მეთად დახელოვნებული მტაცებლები არიან და მათ მაკლოთებს დღეს ბევრ რამეში ჰიტლერი და მისი მომხრენი მისდევენ.

მიზნის მისაღწევათ ჰიტლერი არ ზოგავს არავითარ საშუალებას. მისთვის მისაღება ყოველივე ზომა: სიტყვის გატეხა და ხელშეკრულების უკან წაღება, ტერორი და ძალმომრებობა, ჯაშუშობა და მოწინააღმდეგის დასაძლევად ყოველივე რისიხუაკიცა, რაც ასე აღუვლებს და აღმფიქთებს დღეს ევროპის საზოგადოებას.

მაგრამ ბრძოლის ეს მეთოდები ხომ არ ახალია! ყველაფერი ეს სისტემით არის გადაქცეული ამ ოცი უკანასკნელი წლის განმავლობაში საბჭოთა რუსეთში და ამ მხრივაც პირველობა ბოლშევიკებს ეკუთვნის.

ბოლშევიკებს და ნაციისტებს შორის მკვავსება მეთად თვალსაჩინოა. მათი მიზანი და ბრძოლის საშუალებანი ანალოგიურია. საბჭოთა რუსეთის და დღევანდელი გერმანიის ეკონომიურ ცხოვრება და

მართვაგამგეობაც ბევრ რამეში ერთმანეთს წაავსეს. თუ ბუნებრივი არა, გასაკვირი და მოულოდნელი არაფერია, რომ ეს ორი ტოტალიტარული და დიქტატორული ქვეყანა ერთი მეორეს დაუკავშირდა და ევროპის გასაყოფად და გავლენათა სხვადასხვა ზომების გასანაწილებლად დღეს ერთად მოქმედებენ.

ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ გერმანიის საექსპანსიო ჰიტლერის ფართე პროგრამა. მაგრამ საბჭოთა რუსეთის საექსპანსიო სტალინის გეგმაც არ არის ნაკლებდ ფანტასტიური. მოსკოვმა ისარგებლა გერმანია-პოლონეთის ომით და პოლონეთის ნახევარი ადვილად ხელში ჩაიგდო. დაშინებით, უბრძოლველად დაიკავა მან ბალტიის სახელმწიფოები. შემდეგ შეესია პატარა კულტურულ, თავისუფლების მოყვარული, დამოუკიდებელ ფინლიანდს და მის დაპყრობას ლაშობს, უნდა შეეცა-ნოვოვერციაშიდაც გავლენა მოიპოვოს და ამ გზით ატლანტიის ოკეანეზე გაეფიქსეს. რუსეთის საექსპანსიო გეგმაში შეაის აგრეთვე, ალბათ გერმანიასთან შეთანხმებით, ბალკანეთის ქვეყნებშიდაც გამაგრება. რუსეთი ემუქრება რუმინიას ბესარაბიის წართმევით, ისრაფდის მდინარე დუნაის შესართავი მიისაკუთროს, დორუჯა ბოლგარიას შეუტეხოს, ბოლგარიაში გავლენა მოიპოვოს, ამ მიმართულებით შემდეგ დარდახელის სრუტეებს დაეპატრონოს. შავი ზღვა თავის ტბათ აქციოს და ხმელთაშუა ზღვაზე გამოვიდეს. გერმანიის რჩევით და წაქეზებით რუსეთი არ არის მოკლავალი ამ იმბიტოებსაც, რომ, როცა დროულად დაინახავს, პირი ირან-ავღანისტიანისკენ იბრუნოს, ინდოეთს დაემუქროს და ამით ინგლისის საქმეები გაურთულოს.

საბჭოთა რუსეთმა არჩევანი გააკეთა. ტოტალიტარული და დიქტატორული რუსეთი ტოტალიტარული და დიქტატორულ გერმანიას გადაება, მასთან შეთანხმდა და საერთო სამოქმედო გეგმა შეადგინა.

წინეთ რუსეთის სურვილი იყო ომის სხვადასხვა რამობა, ის კი ვანზე გამდარაყო, ომში მონაწილეობა არ მიეღო და, როცა ომი ყველა შემოპარს ხელმწიფეთ მოქალაქედა და დასუსტებდა, მოსკოვი სამოქმედო ასპარეზზე მხროლად მაშინ გამოსულიყო და თავისი პირობები სხვებისათვის ეკარახა. მაგრამ ყველაფერს თავისი ლობიკა აქვს. ნაცისტ რუსეთ გერმანიასთან დაკავშირებით და გადაბრით საბჭოთა რუსეთი თანდათანობით შედის ომის პროცესში.

რუსეთი ფიქრობდა, როგორც ბალტიის ქვეყნებს, ისე პატარა ფინლიანდიასაც უბრალად დაშინებით და უომრად დაიმორჩილებდა. მაგრამ კრემლი ანგარიშებში მოსტყუვდა. ფინლიანდია შიშით მას არ დაემორჩილა და სასტიკი გმირული წინააღმდეგობა გაუწია. ფინლიანდიელების ბრძოლამ და წინააღმდეგობამ რუსეთის სამხედრო ძალების სისუსტე და მთელი ბოლშევიკური რეჟიმის სიძლესურთ გამოაშკარავა. ცხადია, რუსეთი შეეცდებოდა ყოველივე ღონე იხმაროს და საერთაშორისო ასპარეზზე შელახული მისი პრესტიჟი აღიდგინოს. რუსეთი გერმანიას კიდევ უფრო მკვიდრად დაუტყუებო-



რდება და ეს მათი კავშირი იქნება მტკიცე და დიდი ხნით განზომილი.

გერმანიამ და რუსეთმა უკვე დაიპყრეს ზოგი პატარა სახელმწიფოები და ესა და ნაწარჩენ წერილ ერებში დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ემუქრებიან; მათ უნდად აგრეთვე დაამარცხონ და დაასუსტონ ევროპის უძლიერესი დემოკრატიული ქვეყნები—ინგლისი და საფრანგეთი.

საბჭოთა რუსეთმა ყველაფერი ჰქნა იმისათვის, რომ გერმანიის ჰიტლერისმა გავმარჯვნა, დღესაც ხელს უწყობს და ეხმარება მას, რომ ერთად ევროპაზე გაიმარჯვონ და ის ერთად გაიყონ. სტალინ-ჰიტლერის გამარჯვება ევროპას უქადის მე 19 საუკუნის დასაწყისის იმ მდგომარეობაში ჩავარდნას, როცა ყველა პატარა ერებს თავისუფალი ცხოვრება წაერთვა და საყოველთაოდ სასტიკი რეაქცია გაბატონდა.

გასაგებია, თუ რატომ პატარა თავისუფალი და ჩაგრული ერების ინტერესის ამ დიად ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდნენ ისინი. ვინც ეტომადგება და იცავს წვილით ერების თავისუფალ და დამოუკიდებელ ცხოვრებას. საფრანგეთი და ინგლისი დღეს იბრძვიან თავისუფლების, დემოკრატიის, პროგრესის და მშვიდობიანობის იდეალისათვის და ყველა პატარა ქვეყნების თანაგრძნობაც ამით მხარეზე უნდა იყოს.

საერთაშორისო ზავს, კულტურას, ცივილიზაციას, ერთა დამოუკიდებლობას და ყოველგვარ თავისუფლებას დღეს ყვეს ერთი საერთო მტერი—ნაცისტები და ბოლშევიზმი ჰიტლერი და სტალინი და მათი დამარცხებით კაცობრიობას თავიდან უნდა ასცილდეს უდიდესი უბედურება და კატასტროფა.

Z.

ი ლ უ ზ ი ა ბ ის გ ა ც რ ა შ ე ბ ა

22 წლის განმავლობაში ბოლშევიკების აგენტები ავრცელებდნენ ევროპაში ყოველად ფანტასტიურ და ცრუ ცნობებს საბჭოთა რუსეთში სოციალიზმის მშენებლობის, იქ «სრულყოფილ დემოკრატიის» არსებობის და «სამშური და ბედნიერი» ცხოვრების დამყარების შესახებ.

ბოლშევიკების პროპაგანდა თანაგრძნობით ხდებოდა ანა მხოლოდ ევროპიულ კომუნისტურ წრეებში, არამედ ის თვალსაჩინო გავლენას ახდენდა აგრეთვე ევროპის სოციალისტურ მასებზე. მართალია, ევროპის სოციალისტებს არ მოსწონდათ ბოლშევიკური მეთოდები და სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ ამ მეთოდებით თავიანთ ქვეყნებში ესარგებლათ, მაგრამ ბევრი იზიარებდა იმ აზრს, ვითომც, საბჭოთა რუსეთში სწარმოებდა სოციალისტური მიმართულებით მეტად დიდი და სასარგებლო მუშაობა. ზოგ გზაბნეულ სოციალისტს მართლა სჯეროდა, რომ საბჭოთა დიქტატურა დემოკრატიით გარდაიქმნოდა. მათ სჯეროდათ, რომ საბჭოთა რუსეთი სოციალისტური და პაციფიკური ქვეყანა იყო. და ისინიც მომხრენი იყვნენ ბოლშევიკებისთვის ბევრი მათი შეცდომა და დანაშაული ეპატრებიათ.

ევროპიელი ბოლშევიზნები ცივად და უნდობლობით შეხედენ პროფესიონალური კავშირების ცნობილ მოღვაწეებს. თუ შერღვევის (კლებერ ლეგეს, სიტრინის, ლუსინგ მორას, ანდრე ჟიდის, ივონის, პანაოტ ისტრატის და სხვ.) რუსეთიდან ბლომად მოტანილ ბოლშევიკების საწინააღმდეგო ღვატებს და ცნობებს და ყოველივე ზომებს ხმაოდენ საბჭოთა რუსეთის მხარის დასაქურად. ეს ბოლშევიზნები დიდი გულმოდგინებით იცავდნენ კომუნისტებთან საერთო ფრონტს ფაშისტ-ნაციისტებთან საბრძოლველად და საბჭოთა რუსეთის აგრესორებისაგან დაცვად. მათ სერიოზულად სწამდათ რუსეთის ანტიფაშიზმი. ამის დამამტკიცებელი საბუთი მათ, ვითომც, არა ერთი და ორი ჰქონდათ.

ევროპის პრესაში იყო მოთავსებული მესამე ინტერნაციონალის ერთი ხელმძღვანელთაგანის—მანუელსკის სიტყვა ბოლშევიკურ პარტიის მე-18 ყრილობაზე. ამ სიტყვაში ის 1939 წლის 10 მარტს ამბობდა: «მუშები მხარს დაუჭერენ ყოველივე იმ ერის სამართლიან ომს, რომელიც იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის გაუმადარ იმპერიალისტების წინააღმდეგ, ისინი მხარს დაუჭერენ ომს, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო რეაქციის და მის მთავარ წარმომადგენლებს—გერმანიის, იტალიის და იაპონიის რაც შეიძლება, მალე დამარცხებას».

ევროპის პრესა გადმოგვცემდა აგრეთვე რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარის მოლოტოვის დეკლარაციას, რომელიც მან 1939 წლის 31 მარტს გააკეთა: «ყველას უნდა ესმოდეს, რომ საბჭოთა კავშირის განწყობილებას აგრესორებისადმი არ შეიძლება ჰქონდეს მთლიანი თანაგრძნობის ხასიათი».

1939 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ამას «პრავდა» უმატებდა: «მეორე იმპერიალისტური ომი დაიწყო. მისი გამომწვევე აგრესორებს ყველანი ხედავენ. მათ წინააღმდეგ ომი, ხალხთა დამოუკიდებლობის დასაცვად არის სამართლიანი ომი».

ევროპიელი მკითხველი ეცნობოდა რუსეთის ოფიციალური წყაროებიდან გამოსულ ამ განცხადებებს და მოსკოვ-ბერლინის, თუ ნაცისტ-ბოლშევიზმის ერთმანეთისადმი, ვითომც, მეტრულ დამოკიდებულებაზე ერთნაირი ილუზიებით იმსუვალდებოდნენ. და უტეც სამი კვირის შემდეგ (24 აგვისტოს) ბოლშევიკური რუსეთი პაქით შევარდა ნაციისტურ გერმანიას. ექვსი კვირის შემდეგ კი (17 სექტემბერს) რუსეთმა ისარგებლა გერმანია პოლონეთის ომით და იმ დროს, როცა პოლონეთი სასტიკი წინააღმდეგობას უწევდა აგრესორ—გერმანიას. რუსეთი უკინდან თავს დაეხსა და შეესია პოლონეთს. თუ წინთ მოლოტოვი ბევრს ლყებობდა ერების თავისუფლებაზე და მათ დასაცვად გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ესაა ქაინაურებს უგზავნიდა და ამხნევებდა «ფაშისტურ აგრესორს»; «ჩვენ რუსულ იმ აზრს ვიყავით, რომ ძლიერი გერმანია აუტოლადელი ფაქტორია მტკიცე ზავისათვის ევროპაში», ამბობდა ჰიტლერი—რიბენტროპის მეგობარი მოლოტოვი.

საბჭოთა რუსეთი შეესია პოლონეთის აღმოსავლეთ პროვინციებს იმ «საბოლოო», რომ იქ მისი

«რასული» მძევი ბელორუსებში და უკრაინელებში კლავორებზე და მას ისინი უნდა გაენთავისუფლებინათ პოლონეთისაგან. მაგრამ გერმანია რუსეთში როგორც კი დასასრულეს პოლონეთის დაყოფის ოპერაცია, რუსეთში დაუყოვნებლივ ხელი დაადგა ბალტიის ქვეყნებს—ესტონიას, ლატვიას და ლიეტუანიას, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ სლავიანებთან. რუსეთმა ეს ქვეყნები დაშინებით აიძულა მისი პროტექტორატი მიეღო და იქ ყოველგან სტრატეგიული ოპოციები გაიმკრა.

შემდეგ დადგა ფინლიანდიის რიგი. 170 მილიონიანი სახელმწიფო თავს დაესხა სამ მილიონიანი პატარა რესპუბლიკას, ზარბაზნებს, ყუმბარებს უშენს სოფლებს და ქალაქებს, სწევას და ანადგურებს მათ, მესტურად ჰკლავს და აწვლებს ქალებს და ბავშვებს, ციხეობს წინ წაასწროს და აჯობოს გერმანელების ბარბაროსობას პოლონეთში.

ის ვეროპიელი სოციალისტები, რომელთაც ბოლშევიკების შესახებ ყალიბი ცნობებით გზადავალი აბნეული ჰქონდათ და ბოლშევიკებს წინა წლებში დიდის თანაგრძნობით ეპყრობოდნენ, ეხლა, ხედავენ რა მთელ მათ გაიძვერულ და თალითურ საქმიანობას. გაკვირვებით კითხულობენ: ეს არის ბოლშევიკების სოციალიზმი, მათი მსრულყოფილი დემოკრატიზმი? და ანტიფაშიზმი, მათი პაციფიზმი და ანტი-იმპერიალიზმი?

უკული საქმე მოუვიდათ რუს მენშევიკებსაც. ისინი წინეთ არ იზიარებდნენ იმ აზრს, რომ ოქტომბრის რევოლუციითა რეპუბლიკური მოვლამ იყო, წლობით ამტკიცებდნენ ბოლშევიკური რეჟიმის დემოკრატიზაციის შესაძლებლობას და იცავდნენ მესამე ინტერნაციონალთან ერთი ფრონტის საფართობს. ეხლა რუს მენშევიკებსაც აეხილა თავლები, მაგრამ ვეროპიელი სოციალისტების გზაკვალის აბნევაში მათაც დიდი დანაშაული მიუძღვის.

ვეროპიელების წინა წლების ილუზიები თანდათან ჰქრება და ბოლშევიზმი და საბჭოთა იმპერიალიზმი მათ ეხლა მისი ნამდვილი მახინჯი სახით ეხატებათ. მათთვის ნათელი ხდება, რომ საბჭოთა რუსეთში ამ 22 წლის განმავლობაში ადგილი ქონია სოციალიზმის სახელის უზურპაციას და პროფანაციას, რომ თვალმეტყურად ატყუებდნენ და სინამდვილეს უმაღლედნენ არა მხოლოდ რუსეთის მუშათა კლასს, არამედ ყველა სხვა ქვეყნების მშრომლებსაც. სოციალიზმი ვერ ესაბამება ძალადობას პირობებზე და ერთზე, ვერ მოითმნენ თონიანობის, ტერორის და გახრწილების რეჟიმს, ვერ შეურიგდებთ თავისუფლების მოსპობას, სამართლიანობის უარისყოფას და დავიწყებას. რეჟიმი, რომელიც მიმართავს ასეთ ზომებს და სასულიერებებს სოციალიზმის სახელის გამტეხი და მისი დამშარხველი რეჟიმი.

სოციალიზმი და დემოკრატია, სოციალური პროგრესი და აზროვნების თავისუფლება განუყრედ ერთმანეთთან დაკავშირებული არიან. ვისაც ეს ავიწყდებათ, ისინი დღეს მათი ილუზიების და მსხრევას განიცდიან. ეს მათთვის მეტად მწარე გაკვეთილია.

საბჭოთა რუსეთის გაქვეყნება

1933 წლის გაზაფხულზე იაპონიამ თავის ნებით მიატოვა ერთა ლიგა. ამავე წლის შემოდგომაზე გერმანიაც გავიდა იქიდან. თუ დასავლეთ სახელმწიფოებს მხოლოდ გერმანიის აგრესია, საბჭოთა რუსეთს ერთ და იმავე დროს გერმანიასთან ერთად იაპონიაც ემუქრებოდა. კუდამოძუებული მოსკოვი თავის გადაარჩენაზე ფიქრობდა და თავშესაფარს ეძებდა. ასეთი თავშესაფარი მან ერთა ლიგაში მოსძებნა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი ათეული წლების განმავლობაში ერთა ლიგას ბანდიტების და მკვლელების საზოგადოებას ეძახდა და მის წინააღმდეგ დიდ აგიტაციას წევოდა, როცა მას ის დასპირდა, მან ყოველივე ლინე იხმარა, რომ ის ლიგის წევრი გამხდარიყო.

დიდი სახელმწიფოები, რომელთაც გულუბრყვილოთ სჯეროდათ საბჭოების ფერისცვალება და სწამდათ კრემლის მესვეურთა ანტიფაშიზმი, შეეცადნენ მოსკოვთან საერთო ენა გამოეჩახათ და ის გერმანიისადმი დავპირდაპირებიათ. ერთა ლიგამ ნამდვილ ბანდიტების, მკვლელების და აგრესორის წარსულ მოქმედებებს ანგარიში არ გაუწია, მათ პასუხი არ მოსთხოვა და საბჭოთა რუსეთი უპირობოთ თავის წევრად მიიღო.

მოსკოვის წარმომადგენლები ერთა ლიგაში კოლექტიური უზრუნველყოფაზე ბევრს ლაპობდნენ, ვითომც აგრესორებს ებრძოდნენ და საერთაშორისო ზნეს იცავდნენ, ნამდვილად კი ვეროპის საზოგადოებრივ აზრს თალითურად ატყუებდნენ.

მოსკოვის ვერაგულ პოლიტიკას ფარდა აეხადა რუსეთ-გერმანიის პაქტით. საბჭოთა რუსეთმა წააქეზა გერმანია, რომელიც პოლონეთს თავს დაესხა; ამის შემდეგ მალე საბჭოები შეიჭრა პოლონეთის ტერიტორიაზე და მის სახევის ოკუპაცია მოუხდინა. ამას მოყვა ბალტიის ქვეყნების ფაქტური ანექსია და რუსეთი პატარა ფინლიანდიას კარებზე მიაღწა, ომის გამოუცხადებლად შეიჭრა მის ტერიტორიაზე და მის დაპყრობას ლამობს.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ფინლიანდიელების გმირულმა ბრძოლამ საერთაშორისო აღფრთოვანება და თანაგრძნობა გამოიწვია. რუსეთი კი საერთო დაგმობით და გაკიცმებით იქნა დაჯილდოებული.

ფინლიანდიამ მიმართა ერთა ლიგას, როგორც მის წევრს, და მისგან რუსეთის წინააღმდეგ ზომების მიღება მოითხოვა.

ერთა ლიგა შეიჭრა. ლიგის 14 დეკემბრის კრებაზე ვადაწყდა აგრესორ საბჭოთა რუსეთის ერთა ლიგის რიგებიდან გარიცხვა და ლიგის პაქტის ფარგლებში ფინლიანდიისადმი ყოველნაირი დახმარება აღსანიშნავია, რომ ერთა ლიგის კრებაზე, სადაც ორმოცი სხვადასხვა ერთა წარმოდგენილი, არ აღმოჩნდა არც ერთი წევრი, რომელსაც საბჭოთა რუსეთის სასარგებლოთ და დასაცავათ მან ამოეღო და რუსეთიც ერთხმად იქნა ლიგიდან გაძევებული.



მეცნიერების კავშირის სახელმძღვანელო

მეცნიერების ტრადიციები.

ძველი რუსეთი პოლონეთის ყველა ტრადიციების ერთი ავტორთაგანი იყო. მეტყობინებთ საუკუნის უკანასკნელ 30 წლის მანძილზე სამჯერ იქნა გაყოფილი პოლონეთი; ყველა ამ გაყოფების წაშლამ წყობი და გამოწვევი მეფეების რუსეთი იყო. რუსეთში მეფობა გაქრა, პოლონეთი აღდგა და თავის თავს ეუფლა. პოლონეთის დამოუკიდებელი არსებობა ვერ მოინდოვდა ვერც ძველის ნანგრევებზე წარმოშობილმა კომუნისტურმა რუსეთმა. ის შეუთანხმდა გიტლერს და პოლონეთი ერთხელ კიდევ გაიყვეს. კრემლის ცინიკები გაიძახიან, რომ მომეხ ხალხები გაანთავისუფლეს კაპიტალისტურ ბანდიტები! სავან. ევროპის საზოგადოებამ კი ნამდვილი სახელი უწოდა ამ „განთავისუფლებას“ და ის მონათლა კომუნისტური ბანდიტიზმის სახელით.

სხვა სახელი არც შეიძლება ვუწოდოთ მას, რა, საც კრემლი ჩადის პოლონეთში. ევროპის პრესა იძლევა დაპყრობილ პოლონეთის საინფორმაციო სურათს; მის ერთ ნაწილს ცარცვავს და ფიზიკურად ანადგურებს ნაციზმი. მეორეს კომუნისმი. ნეიტრალურ ქვეყნების კოეპსონდენტების ცნობით საბჭოების მიერ დაპყრობილ პოლონეთის ნაწილის სოვეტისაკია წარმოუდგენელი სისასტიკით წარმოება. გაუსამართლებად დახვრეტა, გადასახლება. ქონების დატაცება ჩვეულებრივ და კანონიერ მოვლენად არის გამოცხადებული. მოსკოვი პირწმინდათ იმეორებს მას, რაც მან ჩაიდინა სხვა დაპყრობილ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში.

რუსეთ-ფინეთის ომი.

პოლონეთის გაყოფის შემდეგ საბჭოთა კავშირი მუქართა და შანტაჟით გაბატონდა ბალტიის სახელმწიფოებში; ასეთივე საშვალებით მოინდოვმა გაბატონება ფინეთზედაც. მაგრამ უკანასკნელმა არ ისურვა ბალტიის სახელმწიფოების მიერ გათვლილ გზებით სვლა. მოსკოვმა ძალას მიმართა და ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს პატარა ფინეთს. კრემლი დარწმუნებული იყო, რომ ეს თავდასხმა წითელ ჯარებს გასეირნება ექნებოდა, რომელიც სტალინს სამოცი წლის თავზე საჩუქრათ მიუღოცავე და დაპყრობილ ფინეთს.

კრემლი ანგარიშში მოტყუვდა. პატარა ფინელი ანდამი სასწაულისებური სიმამაცე გამოიჩინა და ქვეყანას დაუმტკიცა საბჭოთა კავშირის სამხედრო უსუსურობა. ფინლიანთაზე თავდასხმამდე ევროპაში საბჭოთა კავშირი ყვადამ წარმოდგენილი ევროპის უდიდეს სახელმწიფოთ. მას დიდ ანგარიშს უწევდენ და მის მიმზრობას ცდილობდენ. დღეს კი ყველამ დანიხა, რომ ფრთად ერთი სოციალისტური ქვეყანა თიხის ფეხებზე ყოფილა შემდგარი; გუშინდელი საშინელი კერპი დღეს დამსხვრეულია საბოლოოდ. ფაშაჩენილი ჟურნალისტი ე. დელბოკი სწერს, რომ

ფინეთი უწევენ მთელს კაცობრიობას უდიდეს სამსახურს: ისინი ააშკარავენ საბჭოთა კავშირის უსუსურობას.

ლოსის უსუსურობას. ახლა ცხადია, თუ რატომ იყო, რომ იგი ჩინეთის კვლევებში ჩაიკეტა. მას ქონია საამისი მიზეზი. მოსკოვის ბატონებს ყველაზე უფრო იმის ეშინოდათ, რომ გულბრყვილო უცხოელებს არ დანახათ მათი რეჟიმის ცოდვები და უარყოფითი მხარეები. ფინლიანთაზე თავდასხმის დამარცხებას შეუძლია თავალები აუთილოს ბრძემსაც. ვის არ ესმის ახლა, რომ წითელი ჯარი არის ბრბო, რომელიც შეიარაღებულია ულტრა-თანამედროვე იარაღებით, მაგრამ მისი მოზმარების უნარი კი არა აქვს?

ქან ფაბრი—საფრანგეთის ყოფილი სამხედრო მინისტრიც ასევე აფასებს წითელ ჯარს. იგი სწერს: ბოლშევიკების დამარცხება აიხსნება, უთუოდ, იმით, რომ წითელი ჯარი მოკლებულია მანევრების გაკეთების უნარს და არ იცის მოზმარება იმ მასალის, რომელიც მის ხელთ არის. ფაბრის აზრით ეს მდგომარეობა შედეგია იმის, რომ საბჭოთა ჯარის უმაღლესი სარდლობა აღმოჩნდა უეფიცი. მას არ აღმოაჩნდა შეტევის განვითარების უნარი.

ქვევით ფაბრი ასკვნის, რომ საბჭოების ჯარებს არ შესწევთ უნარი და ძალა გაუმკლავდენ კარგად შეიარაღებულ მოწინააღმდეგეს. რომ ფინებს თავიდან ქონოდათ ყოველივე ის, რაც საჭირო იყო. ბოლშევიკების დროებითი დამარცხება გადაიქცეოდა სამოლოა კატასტროფად.

ეს სტრატეგები იწერება რუსეთ-ფინეთის ომის ორი თვის თავზე. ეს ორი თვე ნამდვილი კატასტროფა საბჭოთა კავშირის პრესტიჟისთვის ისე, როგორც ის იყო კატასტროფა წითელ არმიელთა ბრბოებისათვის. თავისთავად იგულისხმება, რომ მოსკოვის დაქირავებული პრესა ყოველივე ამას უმაღლეს საბჭოთა კავშირის ცინის კვლევებში გამომწყვდულ მოსახლეობას. ჩვენამდე შემთხვევით მოწვეული კომუნისტური გაზეთები ურცხვათ ტყუიან: არ ნახულ გამარჯვებას იკვებნიან და კატასტროფულ დამარცხებას კი მალავენ. ნამდვილი ვითარების კარგად მცოდნე ნეიტრალურ ქვეყნების კორესპოდენტების ვარაუდით ომის პირველ 7 კვირის განმავლობაში მოსკოვის ჯარებმა დაკარგეს მოკლულად, დაჭრილად, დაავადებულად და დატყვევებულად 150 ათასი კაცი, ფინეთმა მხოლოდ 10 ათასი. ამასთანვე ფინეთმა ხელში ჩაიგდო ურიცხვი დავლა: ასობით ტანკები და ხარბანები, ათასობით თოფები, ტყვიანწამალი და სხვა სამარო მასალა და იარაღები.

ყოველივე ამით გაბრბუნებული და წინასწარობა დაკარგული მოსკოვი შურის ძიობს ქალაქებს და ბავშვებზე. მოსკოვის ავიონები წამდაუწმენ ესხმიან თავს ფინეთის გაშლილ ქალაქებს და სოფლებს, უშეწევს ავიონებიდან ყუმბარებს და ტყვიის მორტყვევლებს ქალებსა და ბავშვებს. ანგრევენ მუშაობა უბნებს, არ ინდობენ წითელი ჯვრის საავადმყოფოებსაც კი. მოსკოვი თავისი „გენიოსი“ სტალინით სავსებით გამოშვლდა და მძუღრიდებლად გამოაჩინა თავისი ვეფიური ბუნება.



დიპლომატიური ურთიერთობა.

მართლაც რომ უდიდესი სამსახური გაუწია კაცობრივ თავსადაც პატარა ფინლიანდის გმირობამ. ფინეთზე თავდასხმამდ მოსკოვის აქციები მალა იწყებდა. ინგლისის და საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი და პრესა კიდევ მორიდებით ექცეოდა მას. ახლა კი მდგომარეობა ერთობ შეიცვალა. ახლა მისი არავის ერიდება. ინგლისი და საფრანგეთი დაუფარავათ ემხარებიან ფინლიანდის ფულიც და იარაღით. სკანდინავიის სახელმწიფოებრივ აშკარათ ამჟღავნებენ თავის სიმპატიებს ფინეთის მიმართ და დანებარებას უჩვენებენ მას.

ამავე დროს საფრანგეთის პრესაში დაიწყო კამპანია მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის სასარგებლოდ. ისეთი ვაგუნდები გაჩნდა, როგორც არიან «Temps», «Journal des Débats», «Jour» სოციალისტური «Populaire» იც კი და სხვები ურჩევენ მთავრობას მიახსორონ ბოლშევიკების საფრანგო და მოსკოვის ელჩი მიაბარდონ საფრანგეთიდან.

«Journal des Débats» განმარტავს, რომ

ახლანდელ პირობებში საბჭოთა კავშირი არის ნიღბი ჩამოფარებული გერმანია. დარტყმა საბჭოთა კავშირზე ნიშნავს დარტყმას გერმანიისაზე. ლაპარაკობენ, რომ არ ივარგებს გამოვიწვიოთ საბჭოების იარაღის ფრონტზე აშკარათ მოტანა; მაგრამ ახლა ბოლშევიკები განა არ ავრცელებენ საფრანგეთში ყოველნაირ იარაღზე ვაცილებით უფრო საშიშარ საწარმოებს? შემდეგ მიგვიითებენ, რომ მოსკოვთან ურთიერთობის გაწყვეტას შეუძლია განამტკიცოს გერმანია-საბჭოების კავშირი. ეს არგუმენტი სრულიად უსაფუძვლოა: პირველად ყოვლისა ეს კავშირი უკვე არსებობს, მეორეთ ეს კავშირი სწორედ მით არის სასარგებლო გიტლერისთვის, რომ გერმანელებს ნეიტრალურ საბჭოთა კავშირის საშვალებით აქვთ ერთგვარი ჩახედვა ჩვენს საქმიანობაში. იმ დღეს, როდესაც მზიდება ფორმალური გაწყვეტა ჩვენსა და საბჭოების შორის, გიტლერის მოსპობა ამის საშვალეა და ამასთანვე ერთად თვით მოსკოვის პაქტიც ნაწილობრივ დაკარგავს გიტლერისთვის ინტერესს.

«Temps»-ს აზრით

დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოებსა და და დასავლეთის დემოკრატიებს შორის არის უსაფრთხ. რაზე უნდა ელაპარაკოს მოსკოვს პარიზში და ლონდონში? და რისი გულისთვის უნდა ელაპარაკოს? იმ «ღირებულებებს», რომელსაც ჩვენ ვიცავთ, მოსკოვი ანგრევს. იმ ხალხებს, რომელთა თავისუფლებას ჩვენთვის აქვს ჩვენ საკუთარ თავისუფლებებზე არა ნაკლები მნიშვნელობა, მოსკოვი ანადგურებს. ან მისწრაფის მათი განადგურებისაკენ.

ქვევით გახეიტი განმარტავს, რომ მოსკოვი ფეხქვეშ თელავს უფლებას, ამასხარავეებს მის მიერ თავისუფლათ მოცემულ სიტყვას; ერთად ერთი მოსკოვი აღმოჩნდა, რომელმაც მხარი დაუჭირა გერმანიას და ჩამოართვა გასისხლიანებული თათი.

რა აზრი აქვს ჩვენთვის ვიყოლიოთ მესამე ინტერნაციონალის ელჩი ჩვენს სატახტო ქალაქში, ვითმინოთ საბჭოების ელჩი, როდესაც ამ ინტერნაციონალის ქვეშევრდომებს ჩვენთან არა აქვთ სხვა ურთიერთობა, გარდა სასამართლოს, პოლიციასთან და სამხედრო დროის ტრიბუნალთან საქმის ქონება? ჩვენი მტრების მეგობრები და ჩვენი მეგობრების მტრები ვერ იქნებიან ჩვენი მეგობრები. წითელმა რუსეთმა მოითხოვა თავისუფალი ხელი იმ უდიდეს კონფლიქტში, რომელშიაც ერთმანეთს დაუპირდაპირდენ ცივილიზაცია და ბერბაროსობა. ჩვენ რას ვუცდით? რატომ ჩვენ არ გვინდა დავიბრუნოთ მოქმედების თავისუფლება?

საბჭოებთან გაწყვეტას მოითხოვს «Paris Soir»-იც (P. ANTRIO), რომლის აზრით

არ არის მტერი № 1 და მტერი № 2, რომელთა განადგურება ხდებოდაც თანდათანობით, რიგის მიხედვით. არის ორი № 1; საჭიროა მათ წინააღმდეგ ბრძოლა და ორივეს განადგურება ერთ და იმავე დროს...

ყოველ დღეს მოაქვს იმის დიდასტურება, რომ გიტლერი და სტალინი არიან განგებულნი სიამელი ტყუპები, რომელთაც არ შეუძლიათ გასწყვიტონ ის გაუგონარი კავშირი, რომლითაც ისინი გაერთიანდნენ. რას დავკარგავთ ჩვენ, რომ ორივე ისინი ერთმანეთის გვერდით გავაყრათ სამარცხენო ბოძზე?

ახსურდია გიტლერსა და სტალინს შორის განსხვავების გაკეთება... როდესაც ჩვენ ნახსურავთ გრენლოს ქუჩის დაწესებულებას (მოსკოვის საელჩოს), ამით სტალინთან ერთად დავაბრტყამთ გიტლერსაც.

ღამუხ. კრების წევრთა კიჩოქ თათბირი

4 თებერვალს, ბნ ექვთიმე თყაიშვილის თავმჯდომარეობით, შესდგა საფრანგეთში მყოფ საქართველოს დამფუძ. კრების წევრთა კერძო თათბირი, რომელმაც მოისმინა მთავრობის დეკლარაცია საერთო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, (ეს დეკლარაცია იმეძლება ამავე ნომერში) მიიღო თავის მხრივ ვრცელი რეკოალიუტია (დაიბეჭდება შემდეგ ნომერში) და აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა შემუშავება საერთო რეკლამენტისა და შედგენა სიის იმ პირთა, რომელთა მოწვევა სასარგებლო იქნება საერთო მუშაობისათვის.